განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №5*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*სსიპ ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლა*

| ექსპერტთა ჯგუფის წევრები |
|---|
| თავმჯდომარე: პაატა ჩორგოლაშვილი |
| **წევრები:** |
| ნანა ღაჭავა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი |
| მანანა ჭიკაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები |
| ირმა ბოლქვაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებები |
| ქეთევან ბერიძე - უცხოური ენები |
| ელენე ხუციშვილი - ესთეტიკური აღზრდა |
| ნანა ყანჩაშვილი - ტექნოლოგიები |
| სოფიო ხვადაგიანი - სახელმწიფო ენა |
| ლია სვიმონიშვილი - მათემატიკა |
| მარინა ანესაშვილი - სპორტი |
| ნინო კოვზიაშვილი - დაწყებითი საფეხური |

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ-ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 225389521 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი ბოლნისი |
| ფაქტობრივი მისამართი | ქალაქი ბოლნისი |
| საფოსტო ინდექსი | 1100 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge/ |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Bolnisi3@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | 2025 წლის 20 მაისის, N MES 9 25 0000545742 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2025 წლის 19 და 20 ივნისი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ქალაქი ბოლნისი დ. აღმაშენებლის N15. შენობა-ნაგებობების რაოდენობა 1 |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ქალაქი ბოლნისი დ. აღმაშენებლის N15. შენობა-ნაგებობების რაოდენობა 1 |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | ქალაქი ბოლნისი დ. აღმაშენებლის N15. შენობა-ნაგებობების რაოდენობა 1 |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 20 მაისის, N MES 9 25 0000545742 ბრძანების საფუძველზე, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით 2025 წლის 19 და 20 ივნისს განვახორციელეთ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ-ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლაში. ( მისამართი; ბოლნისი დ. აღმაშენებლის N15).

ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ დაგეგმა დისტანციური შეხვედრა და ერთობლივად

შეიმუშავა დღის წესრიგი, განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეიმუშავა შესამოწმებელ დოკუმენტთა დამატებითი ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: ზოგადი განათლების ხარისხის ორი ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის პირველსავე დღეს სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფი, რომელთანაც ექსპერტებს გვქონდა კომუნიკაცია და საქმიანი ურთიერთობა. აღნიშნული ჯგუფის წევრები იყვნენ პასუხისმგებელნი ვიზიტის პროცესში წარმოსადგენი დოკუმენტაციის თაობაზე. ვიზიტის პროცესში ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს და სხვა პირებს. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. დაწყებითი საფეხურის ფარგლებში არსებული მდგომარეობის უკეთ შესწავლის მიზნით დაწყებითი საფეხურის ექსპერტს მჭიდრო კავშირი ჰქონდა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტებთან. მათ ერთდროულად წარმართეს ინტერვიუირების პროცესი, მოქმედებდნენ შეთანხმებულად.
დამატებით გამოგზავნილი დოკუმენტების გაცნობისა და ინტერვიუირების პროცესში, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული ჰქონდათ, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, როგორ უნდა წარმართონ შუალედური სასწავლო მიზნების განხორციელება. ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები ასახულია რჩევების ცხრილში.

საავტორიზაციო ვიზიტი სკოლაში განხორციელდა საქმიან გარემოში. დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო კონკრეტული დოკუმენტების ადგილზე წარმოდგენა. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა კორპუსი ისევ შეხვდა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და გააცნო წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული კონკრეტული მიგნებები და რეკომენდაციები.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## ინტერკულტურული ურთიერთობები და აზერბაიჯანელ მოსწავლეთა ინტეგრაცია სკოლაში

ქ. ბოლნისის №3 საჯარო სკოლა მრავალეროვნული გარემოს მატარებელია, სადაც სწავლობენ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის მოსწავლეები, მათ შორის — აზერბაიჯანელი ბავშვები. სკოლა აქტიურად უწყობს ხელს ეთნიკური მრავალფეროვნების პატივისცემასა და ინტერკულტურული ურთიერთობების გაღრმავებას.

### ინტეგრაცია და ჩართულობა

აზერბაიჯანელი მოსწავლეები სრულად არიან ინტეგრირებულნი სასკოლო ცხოვრებაში. ისინი თანაბრად მონაწილეობენ როგორც საგაკვეთილო, ასევე სხვადასხვა აქტივობებში. სკოლა მიზანმიმართულად ცდილობს მათ ქართულენოვან გარემოსთან დაახლოებას, ამავდროულად უზრუნველყოფს მათი კულტურული იდენტობის შენარჩუნებას. მოსწავლეებისთვის რეგულარულად ტარდება ინტეგრაციული ღონისძიებები: ერთობლივი პროექტები, თემატური კვირეულები, სპორტული და კულტურული აქტივობები. ხდება მშობელთა ჩართვა სკოლის ცხოვრებაში, მათთვის რეგულარულად ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე.

### საზოგადოებაში ინტეგრაცია

სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობასა და არასამთავრობო სექტორთან, რათა ხელი შეეწყოს აზერბაიჯანელი მოსწავლეების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას:

- მოსწავლეები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ კონკურსებსა და ფესტივალებში.
- ხშირად იწვევენ წარმატებულ მოსწავლეებს სხვადასხვა საჯარო ღონისძიებაზე, როგორც ეთნიკური მრავალფეროვნების მაგალითს.

### მიღწევები

- აზერბაიჯანელი მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ სასკოლო და რაიონულ ოლიმპიადებში, განსაკუთრებით მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში.
- მონაწილეობენ წერისა და წაკითხულის კონკურსებში ქართულ ენაზე — აღნიშნული ასახავს მათი ენობრივი ინტეგრაციის ხარისხს.
- რამდენიმე მოსწავლემ მიიღო წახალისება სკოლის სამეურვეო საბჭოსგან სწავლისა და მეგობრული ქცევის გამო.
- მოსწავლეები რეგულარულად მონაწილეობენ ხელოვნებისა და მუსიკის ღონისძიებებში, რაც ხელს უწყობს კულტურული დიალოგის გაღრმავებას.

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1** | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 410 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | აღწერა<br>*სკოლა გეგმავს, რომ ამ კვოტის მინიჭების შემთხვევაში სწავლა განახორციელოს ორ ცვლაში.* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | *სკოლის ფილოსოფია* | *ხარვეზი* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N* | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი* | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N* | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*(ასხეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის* | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი* | | |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N3.4.1.1* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფ მექანიზმი, უფლებამოსი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ | სკოლამ უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობ ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება, სტანდარტებთ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (24.07.2025 - 24.07.202 |

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| | საგანგებო სიტუაციების მართვის გეგ<br>სკოლის მიმართვა უფლებამოსი<br>უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრ<br>უსაფრთხოების მოთხოვნებთ<br>შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილ<br>ორგანოს მიერ გაცემული შენობ<br>ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახ<br>დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო დ<br>სამეცნიერო ინფრასტრუქტურ<br>განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულ<br>წერილობითი დასტური (სახელმწიფ<br>მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებულ<br>ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებ<br>შემთხვევაში); | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>*(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N* | | |

## V. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული | *რჩევა* |

| | | |
|---|---|---|
| | და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N* | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი 4.2.1.3..* | **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად** | **სკოლას მიეცა რჩევა** სარემედიაციო პროგრამის განხორციელებისას მეტი ყურადღება დაუთმოს დიაგნოსტირების პროცესს, ამასთან საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას მოსწავლეთა დახმარების სხვადასხვა ფორმა, მაგალითად დამატებითი მეცადინეობა, კონსულტირება ვადებისა და ფორმის მითითებით. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს სხვადასხვა გზით ჰქონდეს მსგავსი სერვისების მიღების შესაძლებლობა. |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურები)* | *რჩევა* |
| *2.1.2.1.* | **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** | **მიეცეს რჩევა უცხოური ენების** კურიკულუმის ყველა ჩარჩო ერთიან ფორმატში გაკეთდეს.<br>**მიეცეს რჩევა უცხო ენაში** კურიკულუმის გრაფაში “თემა” მითითება მოხდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემებისა და არა მხოლოდ სახელმძღვანელოს თავებისა.<br>**მიეცეს რჩევა უცხო ენაში** სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს თითოეული გრაფა სრულყოფილად შეივსოს.<br>**მიეცეს რჩევა საშუალო საფეხურზე მუსიკის** კურიკულუმში დაკონკრეტდეს თემა, ცნებები, საკითხები და შინაარსობრივად ჩამოყალიბდეს. სასურველია ყველა საფეხურის კურიკულუმში ჩაემატოს მაგალითები შედარებისთვის სვეტი. მიუხედავად იმისა, რომ სახვით და გამოყენებითი ხელოვნების და მუსიკის ზოგიერთი კლასის კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები სრულად არაა გააზრებული, კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კათედრას **აქვს საკმარისი** |

| | | |
|---|---|---|
| | | **ცოდნა და უნარი იმისთვის რომ ხელოვნების და მუსიკის საგნის კურიკულუმები ჩასწორდეს.** კათედრას მიეცა რჩევა განახცორციელოს მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმების ჩასწორება.<br>**მიეცეს რჩევა სახელმწიფო ენაში,** ვინაიდან კურიკულუმი დახვეწის პროცესშია, სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით.<br>**მიეცეს რჩევა საგან მათემატიკაში დაწყებით საფეხურზე** მეორე კლასის კურიკულუმში საგნის სახელწოდება „მე მიყვარს მათემატიკა“ ჩასწორდეს და დაიწეროს „მათემატიკა“. ასევე რესურსების სვეტი შეივსოს სრულყოფილად, სახელმძღვანელოს გვერდებისა და მატერიალური რესურსების მითითებით.<br>**მიეცეს რჩევა საგან ბუნებისმეტყველბაში** მესამე კლასში კურიკულუმი შეადგინონ საგნის სტანდარტის მიხედვით. და გამაასწორონ თემები.<br>**სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მიეცეს რჩევა:** სასურველია მომავალი სასწავლო წლიდან **საშუალო** საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვისას კათედრამ ჩამოყალიბდეს ხელოვნების საშუალო საფეხურის კურიკულუმის მსგავსი-ჩარჩო დოკუმენტი და გაითვალისწინებული იქნას ყველა სტრუქტურული ერთეული: პროდუქტის ტიპი, პროდუქტის თემა, პროდუქტის იდეა, ცნება/ქვეცნებები, საკითხი, და რესურსები.<br>**საბაზო საფეხურზე** ხელოვნების საგნის კურიკულუმებში დაზუსტდეს თემატური ბლოკები კერძოდ მე-8 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი არ არის, სტანდარტით განსაზღვრული მესამე თემატური ბლოკი “საზოგადოება და ხელოვნება” თუმცა სკოლის 8-ე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი აქვს ორი თემატური ბლოკის ფარგლებში თემები, საკითხები, სამიზნე ცნებები რომელიც შესაბამისობაშია სტანდარტით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებთან. **რჩევა:** სასურველია მომავალი სასწავლო წლიდან მე-8-ე კლასის კურიკულუმში გაწერილი იყოს სამივე თემატური ბლოკი. სკოლის მიერ წარმოდგენილ მე-9-ე კლასის კურიკულუმში, ზოგიერთ თემაში გაწერილია თემატური ბლოკის ფარგლებში თემები, სამიზნე ცნებები, საკითხი შემოქმედებითი დავალებები და რესურსები, რომლებიც შეესაბამება სტანდარტით |

| | | |
|---|---|---|
| | | განსაზღვრულ სასწავლო მიზნებს, თუმცა ზოგიერთ თემაში სრულად არ არის წარმოდგენილი ყველა სტრუქტურული ერთეული, მაგ: თემა-1.-"ჩემი ქალაქი", თემა-2- "ფოტოგრაფია-ტექნიკური სიახლე თუ ხელოვნების ახალი დარგი" თემა-6; თემა-7; თემა-8. **რჩევა:** სასურველია მომავალი სასწავლო წლიდან სკოლამ მე-9-8-ე და საბაზო საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვისას გაითვალისწინოს ყველა სტრუქტურული ერთეული: თემატური ბლოკი, თემა, სამიზნე ცნება/ქვეცნება, საკითხი, კონტექსტ მაგალითი, შემოქმედებითი დავალება, რესურსი და დაიცვას საფეხურით განსაზღვრული სტანდარტთან მიმართებები. **რჩევა:** სასურველია ყველა საფეხურის კურიკულუმში ჩაემატოს მაგალითები შედარებისთვის სვეტი რათა მოხდეს დიფერენცირებული მიდგომების და მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება და ასახვა კურიკულუმში. |
| *2.1.2.2.* | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს | **მიეცეს რჩევა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე საბაზო და საშუალ საფეხურისთვის:** სასურველია, მოქალაქეობისა და გეოგრაფი კურიკულუმებში გამოიკვეთოს მიმართება/კავშირი საკითხებსა და სამიზ ცნებებს შორის. |
| *2.1.2.3.* | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას | **რჩევა მიეცეს საბუნებისმეტყველო** საგნებში კათედრას: ზოგიერთ შემთხვევაში ელექტრონული რესურსები არ იხსნება, მოხდეს მათი გადამოწმება და ახლიდან ჩასმა ცხრილის შესაბამის გრაფაში.<br><br>**რჩევა მიეცეს უცხო ენების კათედრას** სასურველია, რუსული ენის ძირითადი სახელმძღვანელოს დასახელება ჩანდეს ყველა კლასის კურუკულუმში.<br><br>**რჩევა მიეცეს ესთეტიკური აღზრდის კათედრას,** სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში **დაწყებით და საბაზო საფეხურზე** გადაიხედოს შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური დავალების) რაოდენობა, რათა მოხდეს სასწავლო მასალის სრულფასოვნად ათვისება კონკრეტულ ვადაში. სასურველია **მუსიკაში ყველა საფეხურის კურიკულუმში** ჩაემატოს „მაგალითები შედარებისთვის“ სვეტი და შეივსოს თემის, ცნება/ქვეცნებების და საკითხის გათვალისწინებით.. სასურველია, ძირითად რესურსად |

| | | |
|---|---|---|
| | | გამოყენებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელოები, გვერდების მითითებით.<br>**მიეცათ რჩევა მათემატიკაში** ყველა რესურსი, რასაც იყენებენ თემის დამუშავებისას შეიტანონ კურიკულუმებში. |
| *2.1.2.4.* | **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს** | **მიეცეს რჩევა საბუნებისმეტყველო საგნებში** საბაზო და საშუალო საფეხურზე სსსმ მოსწავლის ყოფნის შენთხვევაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) გაიწეროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც სრულად უნდა იყოს ასახული ყველა დაგეგმილი თემის სწავლება შესაბამისი საგნობრივი მიზნების გათვალისწინებით. ასევე, დეტალურად იქნეს გაწერილი მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები, შესაბამისი რესურსები.<br>**მიეცეს რჩევა საზოგადოებრივ მეცნიერებებში:** სასურველია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში უფრო მკაფიოდ აისახოს კონკრეტული კლასისთვის დასამუშავებლად განსაზღვრული საკითხების დასამუშავებლად შექმნილი აქტივობები. ასევე, ისგ გეგმებში აისახოს შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებზეც სსსმ მოსწავლეები მუშაობენ.<br>**მიეცეს რჩევა ესთეტიკურ კათედრას** ისგ, რომელსაც შეუდგენენ მოსწავლეს, მოიცავდეს ასაკობრივ თავისებურებებს, შეასწავლიდეს ზუსტად იგივე თემას, საკითხს და ამუშავებდეს ყველა ქვეცნებას, რომელიც გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების შესრულებისათვის. ოღონდ, მოცემულობა მოერგის მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და შესაბამისად წარიმართოს თემის დაძლევაზე მუშაობაც.<br>**რჩევა მიეცეს სახელმწიფო ენის კათედრას:** თვალსაჩინოდ გამოიკვეთოს საგნობრივ კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების მიდგომები, განხორციელებული აქტივობები და დავალებები. |

| | | |
|---|---|---|
| *2.2.1.1.* | **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად** | **რჩევა მიეცა უცხო ენების კათედრას:** "კონტექსტ-მაგალითი" და "საკითხი/ქვესაკითხი" გრაფები სრულყოფილად შეივსოს ყველა კლასის კურიკულუმში. |
| *2.2.1.3.* | **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი** | **რჩევა მიეცეს საზოგადოებრივი მეცნიერების** კათედრას *განმსაზღვრელი შეფასების ყველა რუბრიკა შემუშავდეს კონკრეტულ დავალებებთან/ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. ძირითად შემთხვევებში, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არ წარმოაჩენს აღნიშნულ მიმართებას. ამასთანავე, ბუნდოვანია, რიგ შემთხვევებში რა პრინციპით ნაწილდება არათანაბარი ოდენობის ქულები ერთი საგნის ფარგლებში სხვადასხვა შედეგთან მიმართებით. სასურველია, აღნიშნული ოდენობები თანაბრად განაწილდეს. სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ გამოიკვეთოს მიმართება საგნობრივ საკითხებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს შორის.*<br>**რჩევა მიეცეს სახელმწიფო ენის კათედრას** როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კიდევ უფრო დახვეწონ, მოარგონ სასწავლო თემებს, გაითვალისწინონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცნებები და სტანდარტის შედეგები. |

| | | |
|---|---|---|
| *2.2.1.4.* | **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი** | **სკოლას მიეცეს რჩევა** შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი იყოს უფრო გამართული ასევე სამივე საფეხურზე წარმოდგენილ მონოტორინგის, შეფასებისა და შამაჯამებლების ანალიზის ამსახველ მასალებში უფრო კონკრეტუად დადგინდეს ვერიფიკაციის მექანიზმის ფუნქციონირება, რომელიც არ იქნება ზოგადი. |
| *2.2.2.1.* | **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში** | **რჩევა მიეცეს უცხო ენების კათედრას** სასურველია, “კონტექსტ-მაგალითი” და “საკითხი/ქვესაკითხი” გრაფები სრულყოფილად შეივსოს ყველა კლასის კურიკულუმში.<br><br>**რჩევა მიეცეს სახელმწიფო ენის კათედრას,** სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე რესურსები უფრო გაამრავალფეროვნონ. მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა თავადაც შექმნან უფრო მეტი სასწავლო რესურსი.<br><br>**რჩევა მიეცეს მათემატიკის** კათედრას ყველა საფეხურზე კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ სასწავლო პროცესში, ასევე სახელმძღვანელოს მიეთითოს გვერდები. |
| *2.2.2.2* | **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას** | **რჩევა მიეცა სახელმწიფო ენის კათედრას, შეიმუშავოს** დამხმარე რესურსის ვალიდაციის შემოწმების ფორმა, რომელსაც მასწავლებლები გამოიყენებენ კათედრების სამუშაო შეხვედრებზე დამხმარე რესურსის ვალიდაციის შესამოწმებლად. |
| *2.2.2.3.* | **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით** | **რჩევა მიეცეს საბუნებისმეტყველო კათედრას,** შეძლებისდაგვარად შეივსოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია საჭირო დანადგარებით, ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით, მერხებზე გადაკრული იყოს ქიმიური რეაქტივების მიმართ მედეგი, ცეცხლგამძლე საფარი, ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყოს ამწოვი კარადა და წყლის ონკანი. |

| | | |
|---|---|---|
| *2.3.2.2* | **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით** | **სკოლას მიეცა რჩევა** აქტიურად შეიმუშავოს მოსწავლეთა თვითშეფასება და თანატოლთა შეფასებს მეთოდოლოგია, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას. |
| *2.4.1.1.* | **წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია** | **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, რათა განისაზღვროს რა მიმართულებით უნდა მოხდეს კურიკულუმის დახვეწა. იგი უნდა მოიცავდეს სწავლების პრაქტიკის, შეფასების შედეგების, მასწავლებელთა პროფესიული შეფასებების, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და ინტერესების გაანალიზებას. რეკომენდაციები შეიძლება ეხებოდეს შინაარსობრივ ცვლილებებს, სტანდარტების გააზრებას, მიზნებისა და შედეგების დაზუსტებას. რის შედეგადაც მიიღება გონივრული, მრავალმხრივ გააზრებული წინადადებები კურიკულუმის გაუმჯობესებისთვის. |

**VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე და მითითებულ ხარვეზებზე. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია.

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

## 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა თავისი შინაარსით შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. ასევე, იგი პასუხობს თემისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. სკოლამ მისიაში ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად განსაზღვრა მოსწავლეებს ჩამოუყალიბოს ეროვნული თვითშეგნება და პატრიოტიზმი. ასევე, ისინი ეყრდნობა განათლების ჰუმანისტურ პრინციპებს,რათა დაეხმაროს მოსწავლეებს ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში. სკოლის ხედვაა ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლე შეძლებს აკადემიური ცოდნის შეძენას, ემოციური, სოციალური და  სააზროვნო უნარების განვითარებას. ღირებულებები კი წარმოდგენილია შემდეგი პრინციპების სახით: პროფესიონალიზმი, გუნდური მუშაობა, ტოლერანტობა, ღიაობა, შემოქმედებითობა, პატრიოტიზმი, ადამიანის უფლებების დაცვა და უწყვეტი განვითარება.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიით, ხედვით და ღირებულებებით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლისათვის მნიშვნელოვანია, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობა. სასკოლო კულტურა თანამშრომლობითია, რაც გამოიხატება სკოლაში მიმდინარე პროცესებში სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო, რომელიც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის  შესაძლებლობების გამოვლენას.  სკოლაში  მიღწევების გაზიარება ხდება სკოლის Facebook გვერდზე. აქცენტი კეთდება სოციალური და ემოციური ზრდის ხელშეწყობაზე, რაც ქმნის ძლიერ სოციო-კულტურულ სივრცეს სკოლის შიგნით. აფასებს მრავალფეროვნებას და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას, რაც სკოლის ძლიერი მხარეა.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების ეტაპები, პასუხისმგებელი პირები და ასევე გაზიარების მექანიზმი. 2024-2025 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გადახედილ იქნა მასწავლებლის ინიციატივით. პროცესში ჩართული იყვნენ სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, თვითმმართველობა, დირექცია, სასკოლო საზოგადოება, მოსწავლეები, მშობლები. შემუშავების ეტაპი იყო ღია და მრავალსაფეხურიანი, რასაც ადასტურებს შესაბამისი შეხვედრების ოქმები. ცვლილება მიზნად ისახავდა მისიისა და ხედვის შინაარსობრივი გაუმჯობესებასა და მის უკეთ შესაბამისობას სკოლის რეალურ საჭიროებებთან. საბოლოო სახით სასკოლო ფილოსოფია (მისია, ხედვა და ღირებულება) გაზიარებულ იქნა სკოლის ვებ-გვერდზე და განთავსდა სკოლაში თვალსაჩინო ადგილას, სტენდზე.
**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

   ახალი მისია და ხედვა არამარტო შეიმუშავა სასკოლო საზოგადოებამ, არამედ გიაზიარა კიდეც. დოკუმენტების განხილვა შედგა პედაგოგიურ კოლექტივთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან და მშობლებთან სადამრიგებლო პროგრამების ფარგლებში. ყველა მხარემ მიიღო აღნიშნული დოკუმენტები, როგორც საერთო ფასეულობებზე და მიზნებზე დაფუძნებული. სკოლის ფასეულობები პრაქტიკაშიც თვალსაჩინოა.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა, ღირებულებები საჯაროა. კერძოდ, განთავსებულია სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას და ციფრულ სივრცეშიც: სკოლის ოფიციალურ პორტალსა და Facebook გვერდზე. https://skolebi.emis.ge/ იგი ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდების" მიხედვით, სკოლის სახელწოდება სსიპ - ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლა სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მისია, ხედვა, ღირებულებები
- 2025 წლის 14 მარტის სამეურვეო საბჭოს ოქმი N4
- სასკოლო სასწავლო გეგმა (სადამრიგებლო პროგრამა)
- სოციალური ქსელის ლინკი https://www.facebook.com/profile.php?id=100023429477354&sk=photos_by&locale=ka_GE
- სკოლის პორტალის ლინკი https://skolebi.emis.ge/
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 ოქტომბრის N223ნ ბრძანება
- ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- ბრძანება რეფერალზე პასუხისმგებელი პირის შესახებ.
- სასკოლო პროექტის გეგმა.

**შეფასება:**
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**
**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, ასევე პროცესში ჩართულ მხარეებს. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისას იცავს თანამონაწილეობის, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების, გამჭირვალობის და ანგარიშვალდებულების პრინციპებს. მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები, რომელშიც ჩართული მხარეები მთლიანად წარმოადგენენ სასკოლო საზოგადოებას. სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას დაწესებულების შიდა პროცესებისა და დამოკიდებულებების შესახებ. აგრეთვე, დოკუმენტაციის დამუშავება და ანალიზი. ამასთანავე, ზუსტდება მოლოდინები სკოლის მიმართ; სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მიზნით. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, იგი წარმოადგენს სტრატეგიულ გეგმაში მოცემული მიზნების მიღწევის უფრო მცირე და შედარებით მოკლე ვადაში შესასრულებელი ამოცანების ერთობლიობას, რომლებიც ერთი წლის პერსპექტივით შემუშავდება. წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესწავლით დგინდება, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც არის ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. მასში გაწერილია 2024-2031 წლების სტრატეგიული მიზნები:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- არაფორმალური განათლების განვითარება/ გაუმჯობესება;
- ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება-გაუმჯობესება

თავის მხრივ თითოეული სტრატეგიული მიმართულება იყოფა შესაბამის ამოცანებად. გაწერილია აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. აღნიშნული მიმართულებები და ამოცანები ეყრდნობა სკოლის მიერ წარმოდგენილ SWOT ანალიზს, სადაც იდენტიფიცირებულია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და გამოწვევები. სკოლა ცდილობს უპასუხოს გამოწვევებს, გააძლიეროს სუსტი მხარეები და გამოიყენოს შესაძლებლობები.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**
სკოლის მიერ წარმოდგენილი 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა ერთწლიანია და ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. მასში ისევე, როგორც სტრატეგიულ გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნები და ამოცანები შესაბამისი აქტივობებით, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. სამოქმედო გეგმა დაფუძნებულია თვითშეფასებაზე, რაც მკაფიოდ გამოჩნდა სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლას 2024-2025 სასწავლი წლის სამოქმედო გეგმაში ჰქონდა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, კალენდარულ თვეებზე გაწერილი შესრულების ვადები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სამოქმედო გეგმით დასახული ამოცანები შესრულებადია.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ- ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ- ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- სსიპ- ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა

### 1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

   სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. დოკუმენტის მიხედვით მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ხორციელდება დაკვირვებითა და შეფასებით, რათა დადგინდეს რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ ანგარიშებს, მათ მიერ შესრულებულ სამუშაოზე. ანგარიშების სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ ხდება მონიტორინგის შედეგების ანალიზი. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას. ასევე, მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების უკუკავშირის გაზიარებას. შეფასება ხდება პედაგოგიურ საბჭოსა და კათედრის სხდომებზე, დირექტორის ყოველწლიურ ანგარიშით (მაგ. ბიუჯეტის შესრულების შესახებ), მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანგარიშით. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის ივნისში. შესაბამისად ვიზიტის პერიოდში აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული განვითარების (2024-2031 წწ.) და სამოქმედო გეგმის (2024-2025 წ) შესრულების მონიტორინგი და შეფასება ჯერ განხორციელებული არ იყო.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

პირველადი ავტორიზაციის პირობებში **ინდიკატორი 1.2.2.3 არ ფასდება.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

პირველადი ავტორიზაციის პირობებში **ინდიკატორი 1.2.2.4 არ ფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ბოლნისის #3 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
- სსიპ ბოლნისის #3 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა, ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის დირექტორის ბრძანება;
- სსიპ ბოლნისის #3 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- დირექტორის ანგარიში
- ინვენტარიზაციის ბრძანება და ოქმი
- სსიპ ბოლნისის #3 საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების გეგმა (2024-2031 წწ.);
- სსიპ ბოლნისის #3 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2024-2025

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

.სკოლაში მოქმედი შემდეგი სტრუქტურული ერთეულების: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო , მოსწავლეთა თვითმართველობა, დისციპლინარული კომიტეტი და საშტატოს განრიგით განსაზღვრული პირების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული შესაბამისი კანონმდებლობით. სკოლაში დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული გაფორმებულ ხელშეკრულებებში და ასევე სკოლის შინაგანაწესში. თითოეულმა დასაქმებულმა იცის თავისი უფლება მოვალეობები, დამოწმებული აქვს ხელშეკრულებაში ხელმოწერით და ასრულებს შესაბამისად.მაგალითად, დირექტორის მოადგილე ახორციელებს ჟურნალების მონიტორინგს სისტემატიურად, ადგენს და აცნობს გაკვეთილების განრიგს პედაგოგიურ კოლექტივს, ადგენს შემაჯამებლებისა და კომპლექსური დავალებების განრიგს და ათანხმებს დირექტორთან, მონიტორინგს უწევს სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები განაწილებულია კანონმდებლობის შეასაბამისად. . თითოეული სტრუქტურული ერთეული ახორციელებს თავის საქმიანობას მისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობების ფარგლებში. კოორდინირებული და თანამშრომლური ურთიერთობა ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.ხდება სიახლეების დროულად მიწოდება.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ს კ ოლ ო ს ს ტრუქ ტურა ;
- ს კ ოლ ო ს შ ი ნ ა გ ა ნ ა წ ე ს ი ;
- ბ ი ბ ლ ი ოთე კ ა რი ს ხ ე ლშ ე კ რულ ე ბ ა ;
- უფროს ი მ ა ს წ ა ვ ლე ბ ლ ი ს ხ ე ლშ ე კ რულ ე ბ ა ;

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილია შრომის შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების თანამდებობრივი პოზიციები და უფლებამოსილებები, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის“, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის, სკოლის შინაგანაწესისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. თანამდებობრივი ინსტრუქციებიგანსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული პირების უფლება–მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, აღნიშნული დოკუმენტი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე, სავალდებულოა შესასრულებლად. ამასთანავე, წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

ყველა დასაქმებულს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გაცნობა ხელმოწერით აქვს დამოწმებული. სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებული იქნება მოსწავლეების შედეგების მიღწევაზე, რომელსაც შეიმუშავებს სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონსძიებები. კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმაა. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. სკოლა დასაქმებულ პერსონალთან თანამშრომლობს იმდაგვარად, რომ პერსონალის მუშაობას დაბრკოლებები არ შეექმნას. დირექტორის მოადგილე ახორციელდებს პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებას. მასწავლებელთა საათობრივი ბადის დატვირთვა განსაზღვრულია კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად. სკოლაში ხორციელდება ურთიერთშეფასება სხვადასხვა აქტივობების მიხედვით, ასევე ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, ხოლო უკუკავშირი

ხორციელდება ზეპირად, დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. ( კრიტიკული მეგობრის, გამოკითხვის საშუალებით). მომავალში ვგეგმავთ ურთიერთდასწრების უკუკავშირი დოკუმენტურად გავაფორმოთ. სკოლაში ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება-სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრებისმოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით, საჭიროების შემთხვევაში, ხანგრძლივი და საჭიროების მიხედვით დაგეგმილი ტრენინგებისა და მართვის განვითარების აქტივობების მიხედვით. ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავებით,დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდების გზითა და პოზიტიური გარემოს შექმნით. ახალი კადრის ინტეგრაციასა და ადაპტაციას სასკოლო საზოგადოებაში ახორციელებს დირექტორი, საგნობრივი მიმართულებით საქმიანობის გარკვევაში- კათედრის ხელმძღვანელი, მოსწავლეებთან და მშობლებთან კომუნიკაციის დამყარებაში - კლასის დამრიგებელი.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკმუნეტაცია, რომელიც შესაბამისობაში იყო კანონმდებლობასთან. ექსპერტების მიერ დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების სისტემა, პერსონალის შერჩევის და დასაქმების პოლიტიკა დაფუძნებულია გამჭირვალეობასა და ობიექტურობაზე, აღნიშნული წესები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები, პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო შესაბამისი ცნობები.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, პერსონალის კვალიფიკაცია და მოთხოვნები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან, მასწავლებლის ეთიკის კოდექსთან, შინაგანაწესთან, რასაც ადასტურებს

მასწავლებლის კვალიფიკაციის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც eshcool-ის ბაზაშია და ასევე არსებობს მატერიალური ფორმით, რომელიც ინახება სკოლაში. ყველა სასწავლო საგანს ჰყავს პროფესიონალი მასწავლებელი.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს, სკოლის ადმინისტრაცია ერთობლივად, გუნდურად ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს, სკოლის სტრუქტურული ერთეულების: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს. სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით პრინციპებს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. კერძოდ, სკოლის მასწავლებლების ნებისმიერი მიღწევა პოზიტიურად არის აღქმული და გაზიარებული კოლეგების, სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეების, მშობლების, თემის და სხვა დაინტერესებულ პირთა მიერ. მასწავლებლები ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგს და სკოლაში არსებობს ტრენინგზე მიღებული ცოდნისა და სიახლეების გაზიარების პრაქტიკა. სკოლას აქვს აღიარებისა და გაზიარების საკმაოდ მრავალფეროვანი მაგალითები. ყოველი წარმატებული აქტივობა, განხორციელებული მასწავლებლის, ან მოსწავლის მიერ ზიარდება Facebook-გვერდზე და თვალსაჩინო ხდება როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის, ასევე, დაინტერესებული პირებისთვის;

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის საშტატო ნუსხა;

- ბრძანება საჯარო სკოლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის წესის დამტკიცების შესახებ;
- მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი;
- მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამსახველი დოკუმენტი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლაში მიმდინარეობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობა, რომელიც მასწავლებელთა საჭიროებების დადგენასა და განვითარების მხარდამჭერ ღონისძიებებზეა პასუხისმგებელი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა გაკვეთილზე დასწრება და შედეგების ანალიზის მიზნით სამუშაო შეხვედრების ჩატარება. სკოლაში ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი. ჯგუფის მიერ კონტროლდება სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას პერიოდულად განიხილება სსსმ მოსწავლის სწავლის პროცესში წარმოქმნილი სირთულეები და მისი დაძლევის გზები.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ძირითადმიზანს წარმოადგენს, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, რომელზეც ხდება მასწავლებელთა პროფესიული საჭიროების დადგენა. ამ კუთხით სკოლა ახორციელებს მთელ რიგ ქმედებებს, იყენებს მხარდაჭერის შიდა მექანიზმებს. შესაბამისად, სკოლა გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, ხელს უწყობს პედაგოგს ჩაერთოს შესაბამის აქტივობებში. სკოლა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს მასწავლებელთა მხარდაჭერას. დროულად აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა დაგეგმილი პროფესიული განვითარების პროცესებისა და აქტივობების შესახებ. სკოლას აქვს გაკვეთილზე დაკვირვების შემდეგ მასწავლებლების მხრიდან გამოვლენილი საჭიროებების მონიტორინგის გეგმა, სადაც არის გაწერილი საჭიროებები და მათ გამოსასწორებლად განსახორციელებელი აქტივობები.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით ზუსტდება, რომ სკოლას აქვს მასწავლებლის კარიერის ახალ საფეხურზე გადასვლის მხარდაჭერის გამოცდილება. სკოლაში არის გეგმა, რომელიც ეხება ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზებას (მასწავლებელთა ჩართვას სხვადასხვა ტრენინგსა და კონფერენციაში). პედაგოგებს გავლილი აქვთ ტრენინგები სხვადასხვა ახალი არჩევითი საგნის, რომლის დანერგვის გამოცდილებაც სკოლაში არსებობს. პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლა ერთვება სხვადასხვა პროგრამაში. სკოლას აქვს მზაობა ხელშეწყობილი იქნას პერსონალის კარიერული ზრდა.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. სკოლაში ტრადიციულად არსებობს კოლეგებს შორის ურთიერთპატივისცემაზე, თანასწორუფლებიანობაზე და ტოლერანტობაზე დაფუძნებული გარემო. სკოლის თითოეული თანამშრომელი ცდილობს ახალ თანამშრომელს გაუადვილოს გარემოსთან ინტეგრაცია, დაეხმაროს ადგილის დამკვიდრებაში, ხელი შეუწყოს საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რეალიზებაში. ამისათვის თანამშრომლები ახდენენ ფუნქციების დელეგირებას,

საერთო პროექტებში ჩაბმას და თანასწორუფლებიანობის დაცვის პრინციპით ურთიერთთანამშრომლობას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა მხარს უჭერს ყველა პედაგოგს ახალი ინიციატივების განვითარება/განხორციელებაში, აწვდის ყველა საჭირო რესურს, აწვდის მყისიერ უკუკავშირს, იქნება ეს სასკოლო პროექტი თუ სხვა სასკოლო ღონისძიებები. სურვილის მიუხედავად, სკოლა, ბიუჯეტის სიმცირის გამო, ვერ ახორციელებს თანამშრომლების სხვა სახით წახალისებას. ამ კუთხით გამოვლენილი თითოეული წარმატება ზიარდება სკოლის Facebook გვერდზე.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შინაგანაწესი;
- ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის შექმნის ბრძანება N2ს /22-2020 წ;
- „ჩვენი ბედნიერი მომავალი „ eTwinning-ის საერთაშორისო პროექტი;
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა;
- მასწავლებლების სამუშაო შეხვედრის ფორმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.3. პროცესების მართვა

### 3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც აღწერს და არეგულირებს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. დოკუმენტის მიზანია სკოლის მისიის განხორციელება და ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივი სრულყოფას. დოკუმენტი არეგულირებს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელიც ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ასევე დამხმარე პროცესები. მოცემული საკითხები რეგულირდება ხარისხის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, საქმისწარმოების წესით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესით, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტითა და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. მოსწავლეთა თვითმმართველობა ჩართულია სკოლის საქმიანობაში. ის ადმინისტრაციასა და მოსწავლეებთან ერთად გეგმავს/ახორციელებს ღონისძიებებს. სკოლაში აგრეთვე მუშაობს ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი, დისციპლინური კომიტეტი, მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობას უზრუნველყოფენ დამრიგებლები; სკოლაში უსაფრთხოების ნაწილს მართავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც რეგულარულად იკრიბება

და განიხილავს სკოლისათვის მნიშვნელოვან საკითხებს. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან: მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი, მანდატური, რესურსცენტრის ერთი წარმომადგენელი და მასწავლებლები.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების/განხილვის სისტემა. შინაგანაწესი არეგულირებს საჩივრის განხილვის წესს. დისციპლინური კომიტეტი განიხილავს მოსწავლის, მოსწავლის მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების, სკოლის თანამშრომელთა სამართლებრივ მდგომარეობას და კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებს რეკომენდაციებს შემდგომი რეაგირებისთვის. მანდატური საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ზრუნავს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებასა და უფლებების დაცვაზე. დისციპლინური დევნა იწყება მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე. დირექტორის მიერ მოკვლეული მასალები წარედგინება დისციპლინურ კომიტეტს, რომელიც განიხილავს საჩივარს, ისმენს და აგროვებს ინფორმაციას მომჩივანი მხარეებიდან და დირექტორს აწვდის რეკომენდაციებს შემდგომი რეაგირების მიზნით. სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის პერსონალის და მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლის გაწერილი აქვს შინაგანაწესში, აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დარღვევაზე სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს, აღწერილია დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა, უფლებამოსილების ფარგლები. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებული საკითხები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. დოკუმენტი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. სკოლაში განთავსებულია ყველასთვის თვალსაჩინო ადგილზე, ფოიეში.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- დისციპლინარული კომიტეტის დამტკიცების ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმებასთან დაკავშირებით;
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით;
- მოსწავლის/მშობლის კანონიერი წარმომადგენლების და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტი;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;

### 3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის დირექციის, მასწავლებლების განმარტებით, მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებსა და საშუალებებს. შემუშავებულია სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი. სასკოლო საზოგადოებისა და მშობლების ინფორმირება ხდება სოციალური ქსელების, სატელეფონო ზარების, სმს-ების, ელექტრონული ჟურნალით, მშობელთა კრებების მეშვეობით. გარკვეული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს სკოლის საქმისმწარმოებელი საინფორმაციო დაფაზე განთავსებით ან კონკრეტული დაინტერესებული პირისათვის ინფორმაციის პირადად მიწოდებით, მატერიალური ან ელექტრონული სახით. დირექციას აქვს სასკოლო საზოგადოების მხრიდან მიღებული უკუკავშირის მიღება/გაზიარების პრაქტიკა.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის კოლეგიალური ორგანოები დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო). იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც დასტურდება კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმებით.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კათედრის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**
**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლას უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს მანდატური და სკოლის დარაჯი. სართულების მიხედვით განსაზღვრულია მორიგე მასწავლებლები, რომლებიც აკონტროლებენ წესრიგის დაცვას და მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლა აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და სხვა შესაბამისი საგანგებო სიტუაციების მართვის შესაბამისი ინვენტარით. ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). ასევე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. სკოლის გარე პერიმეტრი მოწესრიგებულია, სკოლის ტერიტორია არის შემოღობილი. სკოლამ წარმოადგინა წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) 06.06.25 #191 შემოსული წერილის თანახმად სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტის შესაბამისად, დადგინდა, რომ აღნიშნული შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. სკოლას გააჩნია დოკუმენტაცია ინსპექტირების ანგარიში, სადაც არის შემდეგი ჩანაწერი. კერძოდ, „სკოლის შენობის და ცალკე მდგომი ნაგებობების შედეგების განხილვისას დგინდება, რომ სკოლის შენობის და ცალკე მდგომი ნაგებობების მზიდ ელემენტებზე დაზიანება არ დაფიქსირებულა. ამდენად, შპს „რეალექსპერტის“ მიერ ინსპექტირებაზე

წარმოდგენილი ბოლნისის #3 საჯარო სკოლის შენობის და სხვა ცალკე მდგომი ნაგებობების და მისი ცალკეული მზიდი ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა მდგრადობაზე, აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო წესებისა და ნორმტივების მოთხოვნებს. შენობა ექსპლუატაციაში არაა შესული. სკოლაში არის შიდა და გარე ვიდეოსამეთვალყურეო კამერები. სკოლას ჰყავს საგანმანათლებლო დაწესებულების სამსახურის მანდატური.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებს“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე სკოლას შექმნილი ჰყავს მრჩეველთა საბჭო. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას მიეცა რჩევა - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა.

სკოლა უზრუნველყოფს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (24.07.2025 - 24.07.2026)

**ინდიკატორი მეტწილად არის შესაბამისობაში.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები, კერძოდ სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია ექიმის კაბინეტი. სკოლას საშტატო განრიგით ჰყავს ექთანი და შემუშავებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე ზრუნავენ სართულის მორიგე მასწავლებლები. სკოლის ტერიტორიაზე წესრიგს აკონტროლებს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სასკოლო საზოგადოებისათვის პირველადი დახმარების გაწევას ახორციელებს სკოლის ექთანი. მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესიდან გათავისუფლება ხდება მხოლოდ

მშობელსა და დამრიგებელს შორის თანამშრომლობით. სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირთა გადაადგილებას აკონტროლებენ სკოლის დარაჯები და დამლაგებლები. სკოლა დამრიგებლების მეშვეობით აწვდის ინფორმაციას და აცნობს უსაფრთხოების წესებს, როგორც მოსწავლეებს და ასევე მშობლებს. სკოლა სამომავლოდ გეგმავს ფსიქოლოგის მოწვევას და საუბრების ჩატარებას სასკოლო თემთან ასევე ღია კარის დღეების მოწყობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში შექმნილია მზრუნველი, სანდო და ემოციურად უსაფრთხო გარემო. მანდატური, დამრიგებლები, სპეციალური მასწავლებელი, პროფესიონალი მასწავლებლების გუნდი. სწორედ, მათ ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები, მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობა და ზრუნვა სკოლაში ქმნის ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს. დამრიგებლები მოსწავლეებს აწვდიან საჭირო ინფორმაციას ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. ასევე, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ახორციელებს სხვადასხვა სახის აქტივობას, ტარდება საუბრები და დისკუსია ბულინგის თემაზე, საგზაო უსაფრთხოების ნიშნების გაცნობაზე და ა.შ.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა მომარაგებულია აუცილებელი სანიტარულ-ჰიგიენური რესურსით; სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, რომელთა ფუნქციებში გაწერილია დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა. სკოლა უზრუნველყოფს მოვლა-პატრონობას, მომარაგებას ყველა საჭირო რესურსით და ინვენტარით. დამლაგებლის ხელშეკრულებებში გაწერილია ყველა ის ვალდებულება, რაც უზრუნველყოფს სკოლაში სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვას. ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სისუფთავე, როგორც კლასებში, ისე სველ წერტილებში. ადაპტირებული სველი წერტილი სკოლას აქვს. სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ვაჟებისათვის, პედაგოგებისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების დონისათვის

შესაფერისი, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. სკოლის მიერ წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, არეგულირებს სკოლის მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს. სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტის თანახმად, მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ჩაატაროს სისტემატიური შეხვედრები (დასწრებით/ონლაინ) სკოლაში დასაქმებულებთან/მოსწავლეებთან და გააცნოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესები. ასევე, გააფრთხილოს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გატარდება პერსონალური მონაცემების კანონის დარღვევით დამუშავებასთან/გამოყენებასთან/გამჟღავნებასთან დაკავშირებით. ვიზუალური დათვალიერებით სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც დაცულია და ხელმისაწვდომი არ არის. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში არის პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია, რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში, არქივდება. სკოლა იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. სკოლის თანამშრომლები გაფრთხილებული არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ. სკოლის მიერ გაწერილი მექანიზმებით შესაძლებელია ინფორმაცია დაცული იქნას გარეშე პირების უკანონო წვდომისაგან.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციის განმარტებით მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე ხდება იმ საკითხების განხილვა, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შპს „რეალექსპერტის“ ინსპექტირების ანგარიში
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმება-წერილი;
- მასწავლებელთა მორიგეობის სია;
- დამლაგებლების შრომითი ხელშეკრულება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- საევაკუაციო გეგმა;
- პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- საქმისწარმოების წესი;
- საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმის თაობაზე შეთანხმების წერილი;
- სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება;
- შენობის ტექნიკური მგომარეობის (მდგრადობის) შეფასების დასკვნა;
- წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სფეროში შენობა/ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ;

- პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის მატერიალური რესურსი, სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლის შენობა არის ორსართულიანი. სკოლა გათვლილია 205 მოსწავლეზე. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია № 80.06.69.002. ხოლო დაზუსტებული ფართობი 9200,00 კვ.მ. ფართი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით: შენობა-ნაგებობა №1, №2. საჯარო რეესტრიდან ამონაწერში სსიპ ბოლნისის #3 საჯარო სკოლა მითითებულია, როგორც მოსარგებლე, ხოლო მესაკუთრეს წარმოადგენს

სახელმწიფო. სკოლის შენობა გარემონტებულია და ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლის შენობის სართულებზე განთავსებულია 12 საკლასო ოთახი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ასაკის შესაბამისი სასკოლო ინვენტარით, მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხით, სკამით და სასკოლო დაფით. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია კომპიუტერები. კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია ინტერნეტით. საკლასო ოთახებში არის სასწავლო საგნების თვალსაჩინოებები, სკოლას აქვს სპორტული დარბაზი. დარბაზი აღჭურვილია საჭირო სპორტული ინვენტარით. სკოლის ეზოში არ არის ღია სპორტული მოედანი. სკოლაში მოწყობილია ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიული კაბინეტი. მოსწავლეებს ექსპერიმენტული ნაწილი უტარდებათ ლაბორატორიაში, გეგმავენ ცდების ჩასატარებელი სპეცზედაპირის მქონე მაგიდის შეძენას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია აღჭურვილია საჭირო ინვენტარით (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში განთავსებულია კოლბები; მულაჟები; მიკროსკოპები; მაგნიტები; პლასტმასის ცილინდრები; კომპასი და სხვა), რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, კვლევის ჩატარება, მისი შედეგის აღრიცხვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა. სკოლაში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, ბუნებრივ აირზე მომუშავე ბოილერით. საქვაბე განთავსებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოუკიდებელ შენობაში. სკოლა აქვს საკონფერენციო დარბაზი, სადაც ტარდება სხვადასხვა აქტივობა და ღონისძიებები. სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა. სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი (I სართულზე). ამ ეტაპზე 17 სსსმ მოსწავლეა. სკოლა ერთცვლიანია, ამჟამად სწავლობს 197 მოსწავლე (დაწყებითსაფეხურზე 104, საბაზო-60, საშუალო-33) სკოლას აქვს 271 მერხი/სკამი. სკოლის ბალანსზე ირიცხება 69 კომპიუტერი (33 პერსონალური და 36 ლეპტოპი), 4 პრინტერი, ასევე, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი, საკლასო ოთახები, რეკრეაციული სივრცეები (დერეფნები და ეზო), ბიბლიოთეკა, სპორტდარბაზი, სკოლას არ აქვს ღია სპორტული მოედანი, თუმცა სარგებლობს სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე

მდებარე სპორტული მოედნით. რესურსოთახი, ლაბორატორია, სასწავლო პროცესი წარიმართება შეუფერხებლად. ასევე, ხელს უწყობს სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას, ხოლო შესვენებებზე სრულფასოვან დასვენებას. სწორედ მატერიალურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა არის მნიშვნელოვანი მოტივატორი მასწავლებლებისათვის, რათა მოწესრიგებულ და უსაფრთხო გარემოში მეტი დრო დაუთმონ მოსწავლეებთან ინდივიდუალურ და ჯგუფურ მუშაობას. სკოლაში არსებული მატერიალური თუ ადამიანური რესურსი, თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლის საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. მოსწავლეებს ხშირად უწევთ სწავლა-სწავლების პროცესში ელექტრონული რესურსების გამოყენება. გაკვეთილების დასრულების შემდეგ მოსწავლეები სარგებლობენ კომპიუტერული ლაბორატორიით. ძირითადად მობილური ტელეფონის ინტერნეტით,

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ანბანური და თემატური კატალოგები, რაც დაეხმარება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასურველი წიგნის მოძიებაში. სკოლის დირექტორის ბრძანებით შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება), რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის წესს. ბიბლიოთეკაში შექმნილია ყველა პირობა, იმისათვის, რომ მოსწავლემ გაიუმჯობესოს კითხვის უნარები, ისარგებლონ და გაეცნონ იქ არსებულ მრავალფეროვან ლიტერატურას. მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის საბიბლიოთეკო სივრცე გამოიყენება სხვადასხვა აქტივობისთვისაც. კერძოდ, პროექტების, სასკოლო ღონისძიებების ჩასატარებლად. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი თვალსაჩინოდაა გამოკრული სკოლის ბიბლიოთეკაში.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლაში არსებული შიდა თუ გარე სივრცე ნაწილობრივ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს სსსმ მოსწავლეებისთვის. სასკოლო სივრცე გამოიყენება ფორმალური თუ არაფორმალური განათლების მისაღებად. სკოლას ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე. სკოლის შენობის პირველსართულზე განთავსებულია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო, შესაბამისი და აუცილებელი ინვენტარით. სკოლას აქვს პანდუსი პირველსართულზე შესასვლელად, აგრეთვე ლიფტი

მეორე სართულზე გადასაადგილებლად. მეორე სართულზეა განლაგებული IT და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. არის ადაპტირებული სველი წერტილები. სსსმ მოსწავლისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდების მიზნით სკოლას ჰყავს სპეცმასწავლებელი.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლა ცდილობს თავისი საგანმანათლებლო პროგრამები: ფორმალური და არაფორმალურიც, მოარგოს მშობლების და მოსწავლეების ინტერესებს. სკოლაში ხორციელდება ისეთი შინაარსის ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ და ემსახურებიან სასკოლო საზოგადოებაში და ზოგადად თემში სკოლის, განათლების როლისა და მნიშვნელობის განსაზღვრას. მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობის განსახორციელებლად აქვთ მოწესრიგებული. მთელი სკოლა არ არის დაფარულია ვაიფაით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელშიც გამოყოფილია სამკითხველო სივრცე. სკოლას აქვს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსით უზრუნველყოფილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. ღონისძიებების ამსახველი მასალები (ფოტოები, მოსწავლეთა ნამუშევრები), გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების საგანმანათლებლო, ემოციური და მოტივაციის აღმძვრელი გამონათქვამები განთავსებულის სკოლის სოციალურ ქსელში.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის საკადასტრო გეგმა;
- სკოლის ნახაზი სართულების მიხედვით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სკოლის ბიუჯეტი 2024;
- მიღება-ჩაბარების აქტები;
- სკოლის ფოტომასალა;
- პროექტის ამსახველი ფოტომასალა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის მისიითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით დგინდება, რომ სკოლის ძირითადი ამოცანაა ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება სწავლა-სწავლების პროცესში. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა. სკოლა აღჭურვილია ტექნოლოგიურად, სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში და ბიბლიოთეკაში გამოყიფილია სივრცეები, რითაც გაზრდილია ხელმისაწვდომობაციფრულ ტექნილოგიებზე. სკოლაში განსაზღვრულია კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვალდებულია იზრუნოს ტექნიკის გამართულობაზე, შეადგინოს საგაკვეთილო პროცესში ტექნიკის გამოყენების განრიგი და აკონტროლოს ტექნიკის დადგენილი განრიგით გამოყენება. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომლის თანახმადაც მოსწავლეებს და მასწავლებლებს

კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული სამუშაო სივრცით სარგებლობა შეუძლიათ. ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი არის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი, ხოლო ბიბლიოთეკაში მოწყობილ სამუშაო სივრცეში კი - ბიბლიოთეკარი.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი;
- ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები;
- ციფრული განვითარების გეგმა;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმის თაობაზე შეთანხმების წერილი

### 3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების წესი,“ რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ. 2012 წლიდან სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას eflow-ს და Eschool-ის ბაზას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა დოკუმენტებს ამუშავებს ელექტრონულად, საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flowგამოყენებით.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას სრულყოფილად აქვს შევსებული პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool). საინფორმაციო სისტემაში ასახულია პერსონალის , მშობლების და მოსწავლეების პირადი და საკონტაქტო ინფორმაცია, ინფორმაციის განახლება ხდება პერიოდულად სკოლის საქმისწარმოების მიერ.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ინფორმაციას, ანგარიშებს, უკუკავშირს საგანმანათლებლო უწყებებს და აქტიურად თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბრძანება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- საქმის მწარმოებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- ბრძანება საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ;
- ანგარიში საქართველოს მაცნეს - 10 დეკემბრის ანგარიში;
- დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოს წინაშე წარდგენილი 2024 წელი;

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადოების ინფორმირებისა და ეფექტური კომუნიკაციისათვის იყენებს Facebook, Teams da Messenger პლატფორმებს. სკოლაში განხორციელებული აქტივობების გაზიარება ხდება სკოლის Facebook გვერდზე, „ეტალონის" საშუალებით, რომელიც სკოლას აწვდის ინფორმაციას. მას ეცნობიან, როგორც მშობლები ასევე მოსწავლეები და სასკოლო საზოგადოება. საჯარო სკოლამ მიიღო სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობა, მაგალითად, როგორიცაა სპორტული ოლიმპიადა.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სასკოლო ცხოვრების შესახებ სასკოლო საზოგადოება ინფორმაცის იღებს სასკოლო ერთეულებისაგან (კლასის დამრიგებლები, დირექცია). სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. დირექცია განიხილავს მოწოდებულ ინფორმაციას და სანდოობის დადასტურების შემდგომ განათავსებს საინფორმაციო დაფაზე.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; გასცემს და საჭიროების მიხედვით საჯაროს ხდის ინფორმაციას, თავადაც სრულ მზაობას გამოთქვამს ინფორმაციის მიღების კუთხით სასკოლო საზოგადოების წევრთა მხრიდან მოსაზრებების მისაღებად. ამისათვის სკოლა იყენებს სხვადასხვა ტიპის სოციალურ საკომუნიკაციო საშუალებებს, პირისპირ შეხვედრებს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელიც გაკეთდა სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის EMIS მხარდაჭერით ის არის ძირითადი საკომუნიკაციო საშუალება სკოლასა და საზოგადოებას შორის ინფორმირებულობის მხრივ. აღნიშნულ გვერდზე ყველა სახის ინფორმაცია განთავსებულა მხოლოდ სახელმწიფო ენაზე.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, რომელიც გაკეთდა სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის EMIS მხარდაჭერით. სკოლას პორტალზე ლოგოსთან ერთად განთავსებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, ერთწლიანი, შვიდწლიანი სამოქმედო გეგმები, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის, ასევე დაინტერესებული პირებისთვის. ამ პორტალზე ეტაპობრივად გასაჯაროვდება სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის პორტალი
- სკოლის საინფორმაციო დაფა;
- სკოლის Facebook გვერდი:
- ბრძანება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;

- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;
- სკოლის პორტალი/ლოგო

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი, ექთნის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლის დაფინანსება, მასწავლებლების კუთვნილი დანამატის სახით მიღებული დაფინანსება. სკოლის დამატებითი დაფინანსების წყაროა „გახანგრძლივებულის წრე“, რომელიც ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულაქტივობების განხორციელებაზე. კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ხდება სკოლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შედის სკოლის ბიუჯეტში, მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ. ბიუჯეტის დაგეგმვისას სკოლ

ითვალისწინებს კონკრეტული წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის განაწილების პრინციპს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა და დაგეგმვა, ხარჯების მონიტორინგი; ფინანსური კონტროლი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭო იბარებს დირექტორის ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ბუღალტრის ხელშეკრულება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტთან დაკავშირებით;
- გეგმიური ინვენტარიზაციის განხორციელების შესახებ ბრძანება;
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;
- წლიური შესყიდვების გეგმა;
- მიღება-ჩაბარების აქტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**

**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების დაცვის გარანტიებს, შინაგანაწესში მოცემულია საკითხები მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლის მიერ ასევე შემუშავებულია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი ( სსიპ- ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 21 თებერვლის ბრძანებაN2-22) რომელიც არეგულირებს მოსწავლის დარღვეული უფლებების შესახებ საჩივრის წარდგენის წესს და განხილვის პროცედურას. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლის შიდა რეგულაციებით მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლის მიერ წარმოდგენილია სადამრიგებლო პროგრამა, რომლის თანახმადაც კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს აცნობს უფლებებს და მოვალეობებს, სკოლის შინაგანაწესს, ქცევის წესებს, სკოლის შიდა რეგულაციებს. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლის დირექტორი, დირექციის წევრები, კლასის დამრიგებლები სისტემატურად ახდენენ შეხვედრას მშობლებთან, დაინტერესებულ პირებთან, სასკოლო საზოგადოების წევრებთან რა დროსაც ხდება სასკოლო რეგულაციების გაზიარება.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6 ერთი პრიმა პუნქტის შესაბამისად სკოლასა და მოსწავლის მშობელს/შესაბამის უფლებამოსილ პირს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი
- მშობელთა კრება.
- სადამრიგებლო პროგრამა
- მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა.
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა და სტატუსის შეჩერება კანონის შესაბამისად ხორციელდება, ის უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა მიყვება კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცესებს, როგორებიცაა:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობა;

ბ) მოსწავლეთა მობილობა;

გ) ოქმი მეორე უცხოური ენის არჩევის შესახებ;

დ) მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;
**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

მოსწავლეებისთვის უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება სკოლის მზაობა უზრუნველყოს სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მისი გაზიარება სასკოლო საზოგადოებისადმი.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია..**

**4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობა და/ან დამატებით შეთავაზებული სერვისი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლაში დასაქმებული ყველა პირისთვის, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მათი მშობლებისა თუ კანონიერი წარმომადგენელთათვის. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.
**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სადამრიგებლო პროგრამა
- სკოლის შინაგანაწესი
- მოსწავლის სტატუსის შეჩერების ბრძანება.
- მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა.
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- სახელმძღვანელოების მიღება-ჩაბარების აქტი;
- ხელშეკრულება მშობელთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის ადაპტაციის პროცესს და სკოლის მიერ განსახორციელებელ პროცედურებს. სკოლა მოსწავლის სასკოლო პროცესში ადაპტაციისას ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

ა) მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მისი ხასიათი;

ბ) უფროსი და-ძმის გამოცდილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) სასწავლო დატვირთვის ინტენსივობა და საგანმანათლებლო პროგრამების სირთულე.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

## 2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს, პირველ კლასელებს სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურებების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრიდან. სკოლის მიერ დანერგილი სამუშაო პრაქტიკისა და შემუშავებული მექანიზმების ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

## 3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აქტიურია სკოლის როლი მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიმართულებით. სკოლას აქვს რემედიაციის პროგრამა, რომლის მიზანია მოსწავლეთა დახმარება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით სათანადოდ ვერ ივითარებენ ფუნდამენტურ აკადემიურ უნარებს. სარემედიაციო პროგრამის და გაკვეთილის გეგმების შედგენა; სარემედიაციო გაკვეთილების ჩატარება; პროგრესის მონიტორინგი და შუალედური შეფასება; შემაჯამებელი შეფასება. სკოლას მიეცა რჩევა სარემედიაციო პროგრამის განხორციელებისას მეტი ყურადღება დაუთმოს დიაგნოსტირების პროცესს, ამასთან საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას მოსწავლეთა დახმარების სხვადასხვა ფორმა, მაგალითად დამატებითი მეცადინეობა, კონსულტირება ვადებისა და ფორმის მითითებით. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს სხვადასხვა გზით ჰქონდეს მსგავსი სერვისების მიღების შესაძლებლობა. საგნის მასწავლებლები, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ჩამორჩენის დასაძლევად, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, მუშაობენ მოსწავლეებთან ინდივიდუალურად

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ახორციელებს გონივრულ/კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში. კერძოდ, მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს სკოლის მიერ მიეწოდება ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესახებ, როგორიცაა მოსწავლის მობილობის უფლება, მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებული საკითხები, ექსტერნის გამოცდების ჩატარების წესი და პირობები, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი, პირობები და სხვა.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური, ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება. სკოლას აქვს ურთიერთობა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან, ორგანიზაციასთან „დედამიწის მეგობრები -საქართევლო“, ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან და კადეტთა კორპუსთან. ყოველ წელიწადს ტარდება ქართული ენის კვირეული, კონკურსი „პატარა მეზღაპრეები“. ასევე განხორციელდა პროექტები. მაგ. ექსკურსია - ”თბილისში პროექტი ჩხირკედელას”ფარგლებში. ”,STEAM პროექტი „პეპლები გვასწავლიან ფრენას“. ინციატივების წახალისება ხდება დირექტორის მიერ მადლობის სიგელებით.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა მოსწავლეებისგან და მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლებისგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. მიღებული შეფასების საფუძველზე სკოლა გეგმავს მოსწავლეთა მომსახურების მექანიზმების გაუმჯობესებას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- განხორციელებული სასკოლო პროექტები
- სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის ადაპტაციის წესი.
- სკოლის შინაგანაწესი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის საბაზო და საშუალო კლასის დამრიგებლები ხშირად ესაუბრებიან მოსწავლეებს პროფესიული და კარიერული დაგეგმვის მიმართულებით. სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთა კარიერული და პროფესიული ორიენტაციის მექანიზმს. გასულ სასწავლო წლებში სკოლაში ისწავლებოდა აღნიშნული აკადემიური საათი - „პროფორიენტაცია“. ამ სწავლების ფარგლებში შედგა შეხვედრა კადეტთა კორპუსთან.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა საკუთარ სივრცეში აორგანიზებს და აწყობს მოსწავლეთა შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებთან. მაგ: თავდაცვის აკადემიის ვიზიტი სკოლაში, კადეტთა კორპუსის ვიზიტი, ასევე მოსწავლეთა ვიზიტი აღნიშნულ კოლეჯში. მოსწავლეთა ცნობადობის ამაღლება ხდება როგორც პირისპირ შეხვედრებით, ასევე საინფორმაციო ბუკლეტების და ბროშურების დახმარებით. ინფორმაციის მიწოდება ხდება მოსწავლეთა მშობლებთან კრებებზე.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სკოლა გეგმავს, რომ აქტივობები გახდეს რეგულარული, როგორც სასკოლო სივრცეში ასევე დაიგეგმოს გასვლითი აქტივობები კონკრეტულ სასწავლებლებში.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დამატებითი საგანმანათლებლო. მომსახურება (წრის ხელშეკრულება);
- მოწვეული სპეციალისტის ხელშეკრულება;

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის მიერ წარმოდგენილია ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად. სკოლაში დასაქმებულ სპეც. მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლა უზრუნველყოფს გადამისამართებას მულტიდისციპლინურ გუნდთან, ხოლო მათი შეფასების შედეგად განისაზღვრება რეკომენდაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესახებ. სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა

საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს. სკოლის დირექტორის ბრძანებით, თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. სკოლის სპეციალური მასწავლებლების მიერ შემუშავებულია ინტერვენციის გეგმა, რომელშიც გაწერილია თუ რას უნდა მიაღწიოს მოსწავლემ და რა ვადებში.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის დირექციის განმარტებით სკოლა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისაგან:

ა) სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი;
ბ) საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს;
გ) სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები;
დ) სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;

ექსპერტთა მოსაზრებით, სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- ისგ ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება
- ისგ- სხდომის ოქმი.
- სსსმ მოსწავლის საგანამანათლებლო მომსახურების სერვისის მიწოდება
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
- ისგ ჯგუფის ოქმი
-

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

მშობლების ინტერესებიდან გამომდინარე, სკოლამ შესთავაზა არასავალდებულო მომსახურეობა, გახანგრძლივებული სწავლება, რომელიც ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სკოლაში სწავლობენ არა მარტო ქართულენოვანი, არამედ მუნიციპალიტეტში შემავალი არაქართულენოვან სოფლებში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მოსწავლეები, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან სატრანსპორტო მომსახურეობით.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმითგაუთვალისწინებელ დამატებით სააღმზრდელო მომსახურეობას ფასიანი წრის სახით, კერძოდ, გახანგრძლივებული სწავლება. სკოლას აქვს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების განცხადებები წრეში ჩარიცხვასთან დაკავშირებით. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა მომსახურებას ახორციელებს უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025 სასწ.წ.
- ხელშეკრულება წრის ხელმძღვანელთან;
- ხელშეკრულება მშობელთან;
- მასწავლებლის ხელფასის გადახდის უწყისი;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(დაწყებითი საფეხური) | **+ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | + შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | + შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | + შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | + შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(საბაზო საფეხური) | **+ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | + შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | + შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | + შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | + შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(საშუალო საფეხური) | **+ შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება** |

| | ☐ არ შეესაბამება |
|---|---|
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | + შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | + შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | + შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | + შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

### 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

2024-2025 სასწავლო წლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებით. კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია გასულ სასწავლო წლის მოსწავლეთა მიღწევები, სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნები. უკვე ჩატარებულ და ბანკის მიერ შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შემუშავებულ კურიკულუმებში გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მშობლების ინფორმირების საშუალებად მოაზრებულია კომპლექსური დავალების ბარათების გაგზავნა, მშობელთა კრებები და სოციალური ქსელები. მასწავლებლებმა საკუთარი კლასის მოსწავლეთა მშობლებს სასწავლო წლის დასაწყისში გააცნეს კურიკულუმის არსი და ეროვნული სასწავლო გეგმის მიმართება სასკოლო კურიკულუმთან. კურიკულუმის შემუშავების ამჟამინდელ მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; კათედრის წევრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა ტიპურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას. კათედრებს აქვთ ხედვა, თუ როგორაა შესაძლებელი ამ კომპონენტის გაძლიერება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პოროცესში გამოვლინდა, რომ ისინი სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტად დააკვირდნენ სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა, მშობელთა...) ინტერესებს, გამოკითხვებითა და კვლევით დაადგინონ ეს საჭიროებები და შემდეგ ასახონ კურიკულუმში.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, ამ შემთხვევაში იგულისხმება მოსწავლისა და მასწავლებლის გარდა, საზოგადოების სხვა წევრების ინტერესები. სასწავლო პროექტები და მშობელთა ჩართულობა შესაძლებლობას იძლევა, რომ კურიკულუმის შედგენისას დაიგეგმოს და სწავლების ნაწილად იქცეს სასკოლი საზოგადოების ინტერესებიც. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. მასწავლებლები გამოცდილებაზე დაყრდნობით სისტემატურად მუშაობენ კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა გაუმჯობესდეს წინა წლის შედეგები. კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ კათედრაზე

თანამშრომლობითა და დირექციის ჩართულობით. მოსწავლის ინტერესების ასახვის მიზნით, სასწავლო თემების შერჩევის დროს, გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები. ასევე, სკოლაში დამკვიდრებულია მშობელთა ბარათების გამოყენების პრაქტიკა კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, სამივე საფეხურის კურიკულუმი შემუშავებულია კათედრაზე ყველა მასწავლებლის ჩართულობით. სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის შედგენაში მონაწილეობა მიიღო კათედრის ყველა წევრმა. შექმნის პროცესში პედაგოგებმა გადაინაწილეს სამუშაო, შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი საგნების მიხედვით, თითოეული კლასისათვის ცალ-ცალკე, შეათანხმეს განსახორციელებელი კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, შეთანხმდნენ განმავითარებელი შეფასების ფორმებზე და სხვა. კურიკულუმის შემუშავებაში საზოგადოების სხვა წევრებს (მოსწავლეებს, მშობლებს) არ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენისას გათვალისწინებულია მათი ინტერესებიც. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლაში მიმდინარეობს პროცესები, რომელიც მიმართულია სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა იყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს. სკოლის დირექტორი ხვდება მშობელთა წარმომადგენლებს და აცნობს სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებულ საკითხებს. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გაააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. სკოლა ფიქრობს, რომ დაგეგმოს მიზნობრივი შეხვედრები მშობლებთან, მათ მოწვევას სკოლაში და დავალებების/პროექტების პრეზენტაციებზე დასწრებას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
3. სსიპ ქალაქ ბოლნისი N3 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
4. სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის დაწყებითი საგნობრივი კურიკულუმი;
5. სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის მშობელთა კრების ოქმი;
6. სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
7. სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
8. გაკვეთილზე დაკვირვების, ურთიერთდასწრებისა და თვითშეფასების ფორმები;
9. კითხვარები სასკოლო საზოგადოებისათვის;
10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
11. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
12. არაფორმალური კუთხით განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების დამადასტურებელი მასალა;
13. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ამსახველი მასალა;
14. განხორციელებული კომპლექსური დავალებების ბარათები და მოსწავლეთა ნაშრომები;

### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე** სკოლამ წარმოადგინა **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** (ბუნებისმეტყველება V, VI კლ., ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილები, რომლებიც მთლიანობაში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. არსებულ ინფორმაციაზე |

| | |
|---|---|
| | დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში - მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა, საქართველოს ისტორია, წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია მოსწავლეების შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, განსაზღვრულია სხვადასხვა რესურსი, სხვადასხვა ფორმატის შემოქმედებითი დავალება. ასევე, წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა განვითარებას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| უცხოური ენები | წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები. მასში მეტწილად გაწერილია შემოქმედებითი პროდუქტის იდეები, კონტექსტ მაგალითები და რესურსები, რომლებიც შერჩეულია მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესებიდან გამომდინარე, რაც ეხმარება ყველა სამიზნე ცნებაზე გასვლაში. შერჩეული შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთოს სახალისო აქტივობებში და სრულად წარმოაჩინოს საკუთარი თავი. დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ყოველივე ეს დამყარებულია პედაგოგების მიერ მთელი წლის განმავლობაში მოსწავლეების ნამუშევრებზე დაკვირვებითა და გაანალიზებით რამდენად მიემართება ისინი საფეხურის შედეგებსა და სამიზნე ცნებებს. სკოლას აქვს ინტეგრირებული სწავლების პრაქტიკაც და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის პროექტებს.<br>ვიზიტის დროს მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაციის სახით გამოგზავნილ კურიკულუმებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მათ აქვთ მზაობა სრულყოფილად შეავსონ/გაასწორონ კურიკულუმი. |

| | |
|---|---|
| | **რჩევა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები:**<br>1. სასურველია უცხოური ენების კურიკულუმის ყველა ჩარჩო ერთიან ფორმატში გაკეთდეს.<br>2. კურიკულუმის გრაფაში "თემა" მითითება მოხდეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემებისა და არა მხოლოდ სახელმძღვანელოს თავებისა.<br>3. სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოს თითოეული გრაფა სრულყოფილად შეივსოს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომელთა გათვალისწინება კურიკულუმის ჩარჩოს უფრო მკაფიოს და მიზანმიმართულს გახდის მაგ: საშუალო საფეხურზე მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმის ჩარჩო ფორმა განსხვავებულია. **რჩევა:** სასურველია მომავალი სასწავლო წლიდან **საშუალო** საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვისას კათედრამ ჩამოაყალიბოს ხელოვნების საშუალო საფეხურის კურიკულუმის მსგავსი-ჩარჩო დოკუმენტი და გაითვალისწინებული იქნას ყველა სტრუქტურული ერთეული: პროექტის ტიპი, პროექტის თემა, პროექტის იდეა, ცნება/ქვეცნებები, საკითხი, და რესურსები. **საბაზო საფეხურზე** ხელოვნების საგნის კურიკულუმებში და ზუსტად თემატური ბლოკები კერძოდ მე-8 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი არ არის, სტანდარტით განსაზღვრული მესამე თემატური ბლოკი "საზოგადოება და ხელოვნება" თუმცა სკოლის 8-ე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი აქვს ორი თემატური ბლოკის ფარგლებში თემები, საკითხები, სამიზნე ცნებები რომელიც შესაბამისობაშია სტანდარტით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებთან. **რჩევა:** სასურველია მომავალი სასწავლო წლიდან მე-8-ე კლასის კურიკულუმში გაწერილი იყოს სამივე თემატური ბლოკი. სკოლის მიერ წარმოდგენილ მე-9-ე კლასის კურიკულუმში, ზოგიერთ თემაში გაწერილია თემატური ბლოკის ფარგლებში თემები, სამიზნე ცნებები, საკითხი შემოქმედებითი დავალებები და რესურსები, რომლებიც შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებს, თუმცა ზოგიერთ თემაში სრულად არ არის წარმოდგენილი ყველა სტრუქტურული ერთეული, მაგ: თემა-1.-"ჩემი ქალაქი", თემა-2-"ფოტოგრაფია-ტექნიკური სიახლე თუ ხელოვნების ახალი დარგი" თემა-6; თემა-7; თემა-8. **რჩევა:** სასურველია მომავალი სასწავლო წლიდან |

| | |
|---|---|
| | სკოლამ მე-9-8-ე და საბაზო საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვისას გაითვალისწინოს ყველა სტრუქტურული ერთეული: თემატური ბლოკი, თემა, სამიზნე ცნება/ქვეცნება, საკითხი, კონტექსტი მაგალითად, შემოქმედებითი დავალება, რესურსი და დაიცვას საფეხურითგანსაზღვრული სტანდარტთან მიმართებები. **რჩევა:** სასურველია ყველა საფეხურის კურიკულუმში ჩაემატოს მაგალითები შედარებისთვის სვეტი რათა მოხდეს დიფერენცირებული მიდგომების და მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება და ასახვა კურიკულუმში.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ეს გამოჩნდა კურიკულუმში ჩაშენებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც კათედრამ შეარჩია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია მითითებული დავალებების, ხოლო სწავლის შედეგები თითოეულ საგანში მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით.<br>**კათედრას მიეცა რჩევა:** ვინაიდან კურიკულუმი დახვეწის პროცესშია, სასურველია, მასწავლებლებმა მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი შემოქმედებითი ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | წარმოდგენილი კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. გაწერილია სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. არის რამდენიმე ტექნიკური შეცდომა და სკოლას **მიეცა რჩევა: დაწყებით საფეხურზე** მეორე კლასის კურიკულუმში საგნის სახელწოდება „მე მიყვარს მათემატიკა“ ჩასწორდეს და დაიწეროს „მათემატიკა“. ასევე რესურსების სვეტი შეივსოს სრულყოფილად, სახელმძღვანელოს გვერდებისა და მატერიალური რესურსების მითითებით.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| სპორტი | სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებებზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და მათ გაყვანას საფეხურეობრივი სტანდარტის შესაბამის ყველა მოსალოდნელ შედეგზე. თავდაპირველად წარმოდგენილ კურიკულუმების ჩარჩოს ვერსიაში იყო პატარა შინაარსობრივი უზუსტობები და ტექნიკური ხასიათის შეცდომები. პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში მიიღეს შესაბამისი რჩევები და ინტერვიუს შემდეგ, შესაბამის ვადებში წარმოადგინეს გამართული კურიკულუმები.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ტექნოლოგიები | მასწავლებლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმი (II-დან VI კლასის ჩათვლით) წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმი ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები (კომპლექსური დავალებების იდეები), რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, |

| | |
|---|---|
| | შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებას. წარმოდგენილ კურიკულუმებში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები, რომლთა შესრულებისას მოსწავლეს განუვითარდება შემოქმედებითი აზროვნება და ლოგიკურ-ალგორთმული უნარები.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებით საფეხურზე, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადებაში წარმოდგენილ კურიკულუმებში იკვეთება, ორიენტირება გრძელვადიან მიზნებზე, ყველა საგანში შესაბამის თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები შემოქმედებითი ბუნების დავალებებით. სავალდებულო თემები წარმოდგენილია ყველა საგანში, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ მესამე კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმი, რომელშიც თემები არასწორადაა შეტანილი, ამის შესახებ კათედრის პედაგოგებს მიეცათ **რჩევა,** რომ კურიკულუმი შეადგინონ საგნის სტანდარტის მიხედვით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | **საბუნებისეტყველო მეცნიერებებში, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის** კურიკულუმები წარმოდგენილია ყველა კლასისითვის ყველა საგანში: ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ბიოლოოგია, ქიმია. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების |

| | |
|---|---|
| | მიმართულების კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სწორად არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები (სახელმძღვანელო, ელექტრონული რესურსები), კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების იდეა, სადაც ჩანს, რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | ცნებებთან; თითოეული საგნის ფარგლებში თითოეული კლასისთვის წარმოდგენილია დოკუმენტები, რომლებშიც გაწერილია საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემების ფარგლებში დასამუშავებელი საკითხები. აღნიშნულ დოკუმენტში, ასევე, წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებების იდეები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს.<br><br>**რჩევა** საბაზო და საშუალო საფეხურისთვის: სასურველია, მოქალაქეობისა და გეოგრაფიის კურიკულუმებში გამოიკვეთოს მიმართება/კავშირი საკითხებსა და სამიზნე ცნებებს შორის.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კურიკულუმები მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში შემოქმედებითი პროდუქტის იდეები წარმოდგენილია იმდაგვარად, რომ აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას. კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში, განსაზღვრულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, რასაც |

| | |
|---|---|
| | უშუალოდ უკავშირდება შემოქმედებითი პროდუქტი. მათი განხორციელების პროცესში დაგეგმილია ისეთი აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებისთვის ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა) განვითარებაზე.<br>აღსანიშნავია, რომ სკოლაში ხორციელდებ პროექტები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში, რომელიც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ კათედრას აქვს შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელების გამოცდილება, გათავისებული აქვთ შუალედური მიზნები განსაზღვრონ ამ დავალებებზე დაფუძნებით გრძელვადიანი მიზნებს ემსახურება ცნება/ქვეცნებათა მუდმივი დამუშავება საკითხების კომპლექსური დავალებებით შესწავლით და პროდუქტის წარმოდგენით, რაც მოსწავლეებს განუვითარებს ცოდნის სამივე კატეგორიას. ესთეტიკურ საგნებში მოცემული აქტივობები მოსწავლეებს ჩამოუყალიბებს ემპათიის უნარს, ემოციურ ინტელექტს, მისცემს მათ იმპროვიზაციის შესაძლებლობას, განუვითარებს კრიტიკულ შემოქმედებით აზროვნებას და მოამზადებს ცხოვრებისათვის.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შემოქმედებითი ტიპის დავალებებში, პირობის შინაარსთან ერთად, მითითებულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი პროდუქტის სახე. შემოქმედებითი და შემაჯამაბელი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებში გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, კერძოდ, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური უნარების განვითარებას. სახელმწიფო ენის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| მათემატიკა | წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად, მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზანზე. გარდა კურიკულუმში შეტანილი კომპლექსური დავალებებისა, წარმოდგენილია სხვა სახის შემოქმედებითი ბუნების დავალებების განხორციელების დამადასტურებელიი დოლუმენტები, მაგალითად, პროექტები, რომლებიც ასევე შუალედურ მიზანს ემსახურება **ინდიკატორი შესაბამისობაშია**. |
| სპორტი | კურიკულუმები შემუშავებულია, ისე რომ ისინი მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმასა და ითვალისწინებს საგნის ზოგად მიზნებს, საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგს, სამიზნე ცნებებს. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული ტემატური ბლოკებიდან.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი. კომპლექსური ბუნების დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებებთან ერთად ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც. მასწავლებელმა აღწერა რამდენიმე უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი, ეტაპები, აქტივობები, შუალედური დავალებები. მასწავლებელი კომპლექსური დავალების დაგეგმვისას ითვალისწინებს სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. მასწავლებელს გააზრებული აქვს, რომ კომპლექსური ბუნების დავალებები ხელს უწმობს მოსწავლეს |

| | |
|---|---|
| | იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრას მიუდგეს შემოქმედებითად, გუნდური მუშაობის დროს ჩამოუყალიბდეს თანამშრომლობითი უნარები.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის(I-IV) კლასების კურიკულუმები მოიცავს ეროვნულ სასწვლო გეგმაში წარმოდგენილ თემებსა და თემატურ ბლოკებს, შემოქმედებითი ბუნების დავალებები(კომპლექსური, პროექტი) შესაბამისბაშია თემებთან და უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების სიღრმისეულ გააზრებას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | (ბუნებისმეტყველება V, VI კლ., ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სწორად არის განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სასწავლო რესურსები - გრიფირებული სახელმძღვანელოს შესაბამისი პარაგრაფები, საინტერესო, მიზნის შესაბამისი ელექტრონული რესურსები, ვირტუალური ლაბორატორიის შესაბამისი ლინკები. წარმოდგენილი რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა გამოიკვეთა რიგი გარემოებები, ამიტომ სკოლას მიეცეს **რჩევა:**<br>ზოგიერთ შემთხვევაში ელექტრონული რესურსები არ იხსნება, მოხდეს მათი გადამოწმება და ახლიდან ჩასმა ცხრილის შესაბამის გრაფაში.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | თითოეული საგნის ფარგლებში წარმოდგენილი რესურსები სავალდებულო თემების, საკითხების/საკითხთა კლასტერებისა და სამიზნე ცნებების შესაბამისია და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმში წარმოდგენილია როგორც მატერიალური, ასევე, ელექტრონული რესურსები.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| უცხოური ენები | კურიკულუმის ჩარჩო - ცხილებში თითვეულ სასწავლო თემას მითითებული აქვს შესაბამისი სასწავლო რესურსი. სასწავლო რესურსებში მოცემულია გრიფირებულ სახელმძღვანელოდან საკითხები, დამატებითი წყაროები და ელექტრონული რესურსები. მოცემული სასწავლო რესურსები უშუალო კავშირშია სამიზნე ცნებებთან, მის მკვიდრ წარმოდგენებთან და საგნოგრივ საკითხებთან, რომლებიც უნდა იქნას გააზრებული სწავლა-სწავლების პროცესში და უზრუნველყოს სწავლის შედეგები.<br><br>რჩევა: სასურველია, რუსული ენის ძირითადი სახელმძღვანელოს დასახელება ჩანდეს ყველა კლასის კურუკულუმში.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სასურველია, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში **დაწყებით და საბაზო საფეხურზე** გადაიხედოს შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური დავალების) რაოდენობა, რათა მოხდეს სასწავლო მასალის სრულფასოვნად ათვისება კონკრეტულ ვადაში. სასურველია **მუსიკაში ყველა საფეხურის კურიკულუმში** ჩაემატოს „მაგალითები შედარებისთვის" სვეტი და შეივსოს თემის, ცნება/ქვეცნებების და საკითხის გათვალისწინებით.. სასურველია, ძირითად რესურსად გამოყენებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელოები, გვერდების მითითებით. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კურიკულუმებში გათვალისწინებულია როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები. სახელმძღვანელოს ტექსტების პარალელურად დამატებით ტექსტებთან ერთად მოცემულია ელექტრონული ბმულებიც. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში რესურსებად წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ინტერაქციული რესურსები: სიტყვების ყუთი, დასურათებული ბარათები, ზღაპრის პერსონაჟის ილუსტრაციები, სიტყვების გამომძიებელი, გრაფიკული მაორგანიზებლები, სიტყვის სკივრი, პერსონაჟისა და ამბის რუკა. საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში რესურსებსა და კონტექსტმაგალითებში ასახულია პარალელური ტექსტები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები მწერლებისა და პოეტების შესახებ, ინტერაქციული მულტიმედიური სავარჯიშოები, ტელესკოლის გაკვეთილები. ასევე, რესურსებად წარმოდგენილია სხვადასხვა სახის გრაფიკული მაორგანიზებლები და სქემები. სახელმწიფო ენის კურიკულუმებში ძირითად ტექსტებთან ერთად მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება გვაძლევს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები მართლაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აქტიურად იყენებენ ელ. რესურსებს რის საშუალებასაც იძლევა სკოლაში არსებული კომპიუტერული ბაზა. სასწავლო რესურსების ნუსხა წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, იყენებენ აღნიშნულ რესურსებს, მაგრამ ყველა არაა შეტანილი კურიკულუმში, **მიეცათ რჩევა,** რომ ყველა რესურსი, რასაც იყენებენ თემის დამუშავებისას შეიტანონ კურიკულუმებში.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

| | |
|---|---|
| სპორტი | პედაგოგები ცდილობენ კურიკულუმებში შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ არსებული, მატერიალ;ური რესურსით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით. ასევე ელექტრონული რესურსებს ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმში წარმოდგენილია და შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კათედრას საგნობრივი კურიკულუმებში წარმოდენილი აქვს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო-შემეცნებითი ხასიათის, როგორც ციფრული რესურსები, ასევე მათივე ხელით შექმნილი თვალსაჩინოებები: თემატური პოსტერები, ცხრილები, მოძრავი ანბანი, მაგნიტური დაფა, ციფრები და ა.შ. რაც მათ ეხმარება სწავლის შედეგების მიღწევაში.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ მოწოდებული **დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება პროცესის წარმართვისათვის, იყენებენ დიფერენცირებულ დავალებებს, ახდენენ დიფერენცირებას შინაარსის, დროის მენეჯმენტის, მოსწავლეთა ინტერესების, არჩევანის გათვალისწინებით მიხედვით.<br><br>თუმცა გამოიკვეთა რიგი გარემოებები (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) **საბაზო და საშუალო საფეხურზე** არაა წარმოდგენილი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა/ნიმუში), **ამიტომ სკოლას მიეცეს რჩევა:**<br><br>საბაზო და საშუალო საფეხურზე სსსმ მოსწავლის ყოფნის შენთხვევაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) გაიწეროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც სრულად უნდა იყოს ასახული ყველა დაგეგმილი თემის სწავლება შესაბამისი საგნობრივი მიზნების გათვალისწინებით. ასევე, დეტალურად იქნეს გაწერილი მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი აქტივობები, შესაბამისი რესურსები.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | თითოეული საგნის ფარგლებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. კერძოდ, აღნიშნული დასტურდება თითოეული საგნის ფარგლებში წარმოდგენილი ისგ გეგმებით, რომლებიც მოსწავლეთა განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით არის შექმნილი. ამასთანავე, სწავლების პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების პრაქტიკებზე ისაუბრეს მასწავლებლებმა გასაუბრების პროცესშიც. |

| | |
|---|---|
| | ***რჩევა*** *მიერმართება თითოეული საფეხურის ყველა საგანს: სასურველია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში უფრო მკაფიოდ აისახოს კონკრეტული კლასისთვის დასამუშავებლად განსაზღვრული საკითხების დასამუშავებლად შექმნილი აქტივობები. ასევე, ისგ გეგმებში აისახოს შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებზეც სსსმ მოსწავლეები მუშაობენ.*<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვას, რაც გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. ეს ნათლად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილ შემოქმედებით პროდუქტის იდეებსა და მათი განხორციელების პროცესში.<br>აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ორივე საგანში და მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კათედრას აქვს დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება, რაც ინტერვიურების პროცესში დადასტურდა. მიეცათ **რჩევა,** რომ ისგ, რომელსაც შეუდგენენ მოსწავლეს, მოიცავდეს ასაკობრივ თავისებურებებს, შეასწავლიდეს ზუსტად იგივე თემას, საკითხს და ამუშავებდეს ყველა ქვეცნებას, რომელიც გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების შესრულებისათვის. ოღონდ, მოცემულობა მოერგის მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და შესაბამისად წარიმართოს თემის დაძლევაზე მუშაობაც. კათედრამ გამოთქვა მზაობა აღნიშნული საკითხის მიმართ და ეს კრიტერიუმიც შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | სასწავლო კურიკულუმში ნაწილობრივ ჩანს დიფერენცირებული ან ინკლუზიური სწავლებისათვის საჭირო რესურსები, აქტივობები და დავალებები. მასწავლებელთა რეფლექსიიდან და ურიერთდასწრების შეხვედრის ოქმებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა დიფერენცირებილი/ინკლუზიური მიდგომებით საწყის ეტაპზეა, მეტ-ნაკლებად ხდება ამ მიდგომების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში. ამიტომ, მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა შეეცდება, უფრო მეტი ხარისხით დანერგოს დიფერენცირებული მიდგომები სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლებას და მოტივირებას ამ მიმართულებით. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ იყენებენ მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს, დიფერენცირებულ მიდგომებს ამა თუ იმ საკითხების შესწავლისას. სკოლა სწავლისა და განვითარების თანაბარ საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მასწავლებლები აკვირდებიან თითოეულ მათგანს, სწავლობენ მათ თავისებურებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს და ამ პირობების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს. კურიუკულუმში ასახულია ინტერესები სსსმ მოსწავლეებისა, რომლებიც სარგებლობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით. სსსმ მოსწავლეთათვის გათვალისწინებულია შესაბამისი მომსახურება სკოლაში ჩარიცხვის მომენტიდან.<br><br>**კათედრას მიეცა რჩევა:** თვალსაჩინოდ გამოიკვეთოს საგნობრივ კურიკულუმში დიფერენცირებული სწავლების მიდგომები, განხორციელებული აქტივობები და დავალებები.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სასწავლო პროცრსის დაგეგმვისა და განხორციელებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს; წინა გამოცდილებისა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სასწავლო პროცესი.<br>სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური, სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლეები, ყველა საფეხურზე წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ადაპტირებული (როგორც |

| | |
|---|---|
| | ტესტური, ისე კომპლექსური) დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები შეფასებებითა და ანალიზით.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | პედაგოგებთან საუბრისას აღმოჩნდა რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერტესი. როგორც პედაგოგმა აღნიშნა საუბრისას, სკოლის სსსმ მოსწავლეები, ამ საგანში არ საჭიროებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - შეთავაზებულია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.<br><br>ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ მას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვს დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. პედაგოგმა აღნიშნა, რომ ის აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. სკოლას გადმოგზავნილი აქვს ინდ. სასწავლო გეგმა, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, სადაც ჩანს თითოეული მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და თავისებურებების გათვალისწინება.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული და ინდივიდუალური მიდგომები, გაკვეთილზე აქტივობები იგეგმება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით, შემოქმედებითი ბუნების დავალებებში გათვალისწინებულია დავალებები სხვადასხვა |

| | |
|---|---|
| | მზაობის მოსწავლეთათვის, აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისთვის.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სკოლის მიერ სამივე საფეხურისთვის წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების სისტემა ძირითადად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა არის უზუსტობები, ამიტომ სკოლას მიეცეს **რჩევა:**<br>საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად გაწერილი იყოს სტანდარტის შესაბამისად, **ქულით ფასდება მოსწავლის ცოდნა - რა ისწავლა მოსწავლემ საკითხთან მიმართებით.** შეფასების რუბრიკაში შეფასების კრიტერიუმის ფორმულირება ასეთი ფორმით, მაგ. “მოსწავლე ვერ ახერხებს ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი სოკოების აგებულებისა და სასიცოცხლო თვისებების დახასიათებას “და ამაში 1-4 ქულის მინიჭება არასწორია.<br>განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში სამიზნე ცნება/ქვეცნება, ძირითადი საკითხი თანხვედრაში მოდიოდეს კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში განსაზღვრულ სამიზნე ცნება/ქვეცნებასთან, ძირითად საკითხთან (ერთი და იგივე კონტექსტ - მაგალითის შემთხვევაში), ამავდროულად, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაწერილი იყოს კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილების მიხედვით დაგეგმილი ყველა კომპლექსური/შემოქმედებითი დავალების მიმართ.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | მოსწავლეთა შეფასების სტრატეგიები/მიდგომები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასების წარმოდგენილ რუბრიკებში ასახულია აღნიშნული მიდგომა. კერძოდ, კონკრეტული დავალებებისთვის შექმნილი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სოლო ტაქსონომიას და მკაფიოდ წარმოაჩენს კავშირს სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებთან. აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში წარმოდგენილია რუბრიკები, რომლებიც მიემართება არა სტანდარტით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, არამედ, ზოგად უნარ-ჩვევებს.<br><br>***რჩევა*** *მიემართება სამივე საფეხურის თითოეულ საგანს, რომელშიც განმსაზღვრელი შეფასება იწერება: სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების ყველა რუბრიკა შემუშავდეს კონკრეტულ დავალებებთან/ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. ძირითად შემთხვევებში, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არ წარმოაჩენს აღნიშნულ მიმართებას. ამასთანავე, ბუნდოვანია, რიგ შემთხვევებში რა პრინციპით ნაწილდება არათანაბარი ოდენობის ქულები ერთი საგნის ფარგლებში სხვადასხვა შედეგთან მიმართებით. სასურველია, აღნიშნული ოდენობები თანაბრად განაწილდეს. სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ გამოიკვეთოს მიმართება საგნობრივ საკითხებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს შორის.*<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | კათედრას აქვს სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. შეფასების კრიტერიუმები მორგებულია ცნებებსა და კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტის იდეას. კათედრაზე ეფექტურად იყენებენ, როგორც განმსაზღვრელ, ასევე, განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს (დაკვირვება, სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება), რომელზეც |

| | |
|---|---|
| | დაკვირვებას აწარმოებენ მასწავლებლები მოსწავლეზე მონაცემთა მოგროვების მიზნით, რათა შეძლოს დასახული ამოცანების მოდიფიცირება მასზე მორგებულად.<br><br>**რჩევა:** კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ არამარტო მესამე თაობის ესგ ინდიკატორებს, არამედ იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრამ მტკიცებულებად წარმოადგინა დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მიეცათ რჩევები და კათედრა შეძლებს მსგავსი მოცემულობის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას ყველა თემასთან მიმართებით რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | მოსწავლის შეფასების სისტემა მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სახელმწიფო ენის სწავლებისას სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებასა და განმსაზღვრელ შეფასებას მე-5 კლასის მე-2 სემესტრიდან. წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკები საფეხურების მიხედვით: საკლასო და საშინაო დავალების შეფასების რუბრიკები, მასწავლებლის დაკვირვების სქემა, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკების სახით. ელექტრონულ ჟურნალში შედის განმავითარებელი კომენტარები და სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები აკეთებენ სტრუქტურირებულ შეფასებას სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარე. თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებში როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შემუშავებული არ არის სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში მკაფიოდ არ ჩანს ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. |

| | |
|---|---|
| | **კათედრას მიეცა რჩევა:** როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კიდევ უფრო დახვეწონ, მოარგონ სასწავლო თემებს, გაითვალისწინონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცნებები და სტანდარტის შედეგები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. წარმოდგენილ მოსწავლეთა ნამუშევრებს დართული აქვს რუბრიკის მიხედვით გაკეთებული როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | პედაგოგებს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად წარმოდგენილი აქვთ შეფასების რუბრიკები,. თავდაპირველად, წარმოდგენილი ვერსიები იყო შედარებით ზოგადი. ვიზიტისას პედაგოგებმა მიიღეს რჩევა და ვიზიტის დღესვე, შესაბამის ვადაში წარმოადგინეს კორექტირებული ვერსიები, რომელნიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს და მიზნებს, აფასებს საგნის თითოეულ სამიზნე ცნებას. **რჩევა:** სამომავლოდ, სასურველი იქნება, შეფასების რუბრიკები შეიქმნას კურიკულუმით გათვალისწინებული სხვა თემების მიხედვითაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებითსაფეხურზე კომპიუტერულ ტექნოლოგიებში განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებას გულისხმობს. მასწავლებელი აქტიურად მუშაობს შეფასების სქემებზე, მას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. განმსაზღვრელი შეფასება კი წარმოადგენს სწავლის შედეგების აღწერას საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით შეფასების ეს ფორმა მართულია |

| | |
|---|---|
| | მასწავლებლის მიერ და ძირითადად ხორციელდება, როგორც პროცესის შემაჯამებელი რაიმე თემის, თავის, სემესტრის, საკითხის და ა. შ. დასასრულს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებით სფეხურზე ყველა საგანში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტიც, რომელშიც ჩანს სადიგნოსტიკო წერის დროს გამკვეთილი ძლიერი და სუსტი მხარეები და მათი ანალიზი.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სსსმ მოსწავლისათვის ადაპტირებული დავალებები;
- შემოქმედებითი ბუნების დავალებები:
- კათედრის ოქმები;
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზები;
- მასწავლებლებთან გასაუბრება.
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- საბაზო და საშუალო საფეხურის ქიმიის, ფიზიკისა და ბუნებისმეტყველების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ელექტრონული რესურსების ლინკები;
- კომპლექსური დავალების ბარათები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები.
- V, VI კლასების კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილები ბუნებისმეტყველებაში;
- შემოქმედებითი დავალების ნიმუშები,
- შეფასების ინსტრუმენტები,
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;*
- *სსიპ ქალაქ ბოლნისი N3 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის მშობელთა კრების ოქმი;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;*
- *გაკვეთილზე დაკვირვების, ურთიერთდასწრებისა და თვითშეფასების ფორმები;*
- *კითხვარები სასკოლო საზოგადოებისათვის;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| | | |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად, სკოლამ წარმოადგინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულების ყველა კლასის, ყველა საგნის კურიკულუმის ჩარჩო სამივე საფეხურისთვის, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ თემებს, ცნებებსა და მიზნებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ მოსწავლეები ასრულებენ სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით დავალებას, იყენებენ შესაბამის რესურსებს სწავლის პროცესში, ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, რაც დასტურდება თითოეული საგნის ფარგლებში წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებითა და შემაჯამებლების ანალიზის დოკუმენტებით.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოში სტანდარტით გათვალისწინებული თემები ისეა აგებული, რომ |

| | |
|---|---|
| | მოსწავლე ეცნობა შესასწავლ საკითხებს ძირითადი სახელმძღვანელოდან, დამატებითი წყაროებიდან და შერჩეული ელექტრონული რესურსებიდან. თითვეული სავალდებულო თემა ჯამდება შემოქმედებითი პროდუქტის იდეით, რომლის განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ შეიძინოს ფაქტობრივი ცოდნა, შემდეგ შეასრულოს კონკრეტული აქტივობები და ბოლო ეტაპზე შეძენილ ცოდნა გამოიყენოს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. აღნიშნული იძლევა იმის მტკიცებულებას, რომ მოსწავლე შეძლებს ცოდნის გამოყენებას კონკრეტულ პირობასა და მოცემულობაში. აღნიშნულად შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოს მიხედვით კათედრას აქვს დეტალურ გეგმა/ნაბიჯები თუ როგორ განხორციელდება სწავლა-სწავლების პროცესი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.<br>**რჩევა:** სასურველია, “კონტექსტ-მაგალითი” და “საკითხი/ქვესაკითხი” გრაფები სრულყოფილად შეივსოს ყველა კლასის კურიკულუმში.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიურების პროცესიდან დაზუსტდა, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე და ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზესასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილია მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. საგნობრივ კურიკულუმებში ფორმულირებულია საფეხურებრივი საგნის სტანდარტები. მათი რეალიზების გზები ნაჩვენებია კომპლექსური დავალებების სახით. სწავლის შედეგები მოცემულია სამიზნე ცნებების სახით. კურიკულუმში ჩაშენებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად. სავალდებულო |

| | |
|---|---|
| | თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, შერჩეული ტექსტები ეფუძნება სახელმძღვანელოებით შემოთავაზებულ მასალას. შემაჯამებელ და კომპლექსურ დავალებებში გამოკვეთილია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. ამის მაგალითია სამივე საფეხურზე განხორციელებული კომპლექსური დავალებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად თითოეულ საფეხურზე. კურიკულუმის შესაბამისად განხორციელებულია თემების, სამიზნე ცნებების დამუშავება. თემების შესაბამისად შესრულებულია შემაჯამებელი სამუშაოები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში, პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მოახერხებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. კოლეგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა ( სასკოლო ფესტივალები), მონაწილეობას იღებენ სკოლის გარე, არაფორმალური განათლების შესაბამის აქტივობებშიც..<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. პედაგოგმა დაასახელა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო |

| | |
|---|---|
| | ციფრული პროდუქტები. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა საგანში განსხვავებული ტიპის პრობლემების გადაჭრისა და მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნისთვის.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქცივისტულ პრინციპებზე აგებას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

## 2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, ამას ადასტურებს კათედრების მიერ შერჩეული სასწავლო პროექტები და დავალებები. სკოლის საგნობრივი ჯგუფები სამივე საფეხურზე მოსწავლისა და კლასის საჭიროების მიხედვით გეგმავენ სასწავლო პროექტებს და მოსწავლეებს სთავაზობენ შემოქმედებითი ტიპის მრავალფეროვან დავალებებს. კლასის საჭიროების მიხედვით, გაწერილია აქტივობები. შესაბამისად, სკოლა ნამდვილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

## 3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულების პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე** |

| | |
|---|---|
| | შეფასების სისტემა არის ძირითადად ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; სკოლაში სტანდარტით განსაზღვრული ყველა სავალდებულო თემის ფარგლებში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი 10 -ქულიანი შეფასების სისტემა.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | თითოეული საგნის ფარგლებში შეფასებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადჰყოფს, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა შეფასების პროცესში ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, ამოცანებსა და მიზნებს. წარმოდგენილი რუბრიკები ადასტურებს შეფასების სისტემის ვალიდურობასა და სანდოობას. შეფასების რუბრიკები გამჭვირვალეა სასკოლო საზოგადოებისთვის და უზრუნველყოფილია სამართლიანობა.<br>***რჩევა*** *მიემართება სამივე საფეხურის თითოეულ საგანს, რომელშიც განმსაზღვრელი შეფასება იწერება: სასურველია, განმსაზღვრელი შეფასების ყველა რუბრიკა შემუშავდეს კონკრეტულ დავალებებთან/ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. ძირითად შემთხვევებში, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები არ წარმოაჩენს აღნიშნულ მიმართებას. ამასთანავე, ბუნდოვანია, რიგ შემთხვევებში რა პრინციპით ნაწილდება არათანაბარი ოდენობის ქულები ერთი საგნის ფარგლებში სხვადასხვა შედეგთან მიმართებით. სასურველია, აღნიშნული ოდენობები თანაბრად განაწილდეს. სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ გამოიკვეთოს მიმართება საგნობრივ საკითხებსა და საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს შორის.*<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კათედრაზე გამოყენებული შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. შეფასება ხდება სისტემატურად და გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება. მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი, თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების გათვალისწინებით. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ ისინი შეფასების ინსტრუმენტის შერჩევისას ითვალისწინებენ როგორც საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, |

| | |
|---|---|
| | სამიზნე ცნებებს, ასევე მოსწავლეთა ინტერესებს, სწავლის სტილსა და გამოცდილებას. საგნების მასწავლებლებლები შემაჯამებელ დავალებებს ამოწმებენ წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემებით და შერჩეულ შეფასების რუბრიკებს აცნობენ როგორც მოსწავლეებს, ასევე მათ მშობლებს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე და იძლევა დიფერენცირების საშუალებას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| სახელმწიფო ენა | წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სახელმწიფო ენის კათედრა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ჰოლისტურ რუბრიკებს. დაწყებითი საფეხურის კათედრაზე შეფასების რუბრიკების შედგენის პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ შემდეგს: რისთვის ვაფასებთ (შეფასების მიზანი), რას ვაფასებთ (შეფასების საგანი), როგორ ვაფასებთ (შეფასების ხერხები), ვის ვაფასებთ (შეფასების ობიექტი), როდის ვაფასებთ (რა სიხშირით და რა ვადებში) და როგორ ვიყენებთ შეფასების შედეგებს (მონაცემთა ანალიზი). ობიექტურობის დაცვის მიზნით მოსწავლეებს გაკვეთილის დასაწყისშივე აცნობენ შეფასების რუბრიკებს, თუ რა კრიტერიუმით შეფასდებიან კონკრეტულ სიტუაციაში. შემოქმედებითი ტიპის დავალების პირობის გაცნობა თავისთავად მოიაზრებს, რომ მოსწავლემ საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად რა კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინოს, აქედან გამომდინარე, მას გააზრებული აქვს დადებითად რომ შეფასდეს, რა და როგორ უნდა გააკეთოს. თუმცა ეს რუბრიკები არ ითვალისწინებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ ცნებებსა და შედეგების ინდიკატორებს.<br>ამიტომ, **კათედრას მიეცა რჩევა:** როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები კიდევ უფრო დახვეწონ, მოარგონ სასწავლო თემებს, გაითვალისწინონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ცნებები და სტანდარტის შედეგები. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| მათემატიკა | წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტევიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. წარმოდგენილ შემაჯამებელი დავალებების ნიმუშებს ახლავს შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელ დავალებებშის ანალიზებში მითითებულია ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგები, რაც ადასტურებს შეფასების ვალიდურობას. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ შეფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისათვის, რაც გამჭირვალეს ხდის შეფასებას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია ესგ ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. სამომავლოდ, მეტი ვალიდურობისათვის, შეფასების რუბრიკები სასურველია შეიქმნას კურიკულუმით გათვალისწინებულ ყველა თემაზე. ამის შესახებ რჩევა გაწერილია დასკნის რჩევების ნაწილშიც.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. დავალებებს ახლავს შეფასების კრიტერიუმები, შემაჯამებელ დავალებებში მითითებულია ეროვნული სასწავლო გეგმით მისაღწევი შედეგები, რაც ადასტურებს შეფასების ვალიდურობას. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ შეფასების რუბრიკები წინასწარ ცნობილია მოსწავლეებისათვის, რაც გამჭირვალეს ხდის შეფასებას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კათედრას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, საიდანაც ჩანს, რომ სკოლის პედაგოგებს სწორად აქვთ გააააზრებული მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების აქტუალურობა და მინშვნელობა სასწავლო პროცესში, შეფასების რუბრიკებში ასახულია რა ცოდნას და უნარებს ამოწმებს შეფასება, მოსწავლეებმა იციან კონკრეტულად რა და როგორ ფასდება, რაც გვაძლევს იმის საფუძველს რომ შეფასება ვალიდურია, გამჭვირვალეა, ობიექტური და სამართლიანი.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**
   სკოლის წარმოდგენილ დოკუმენტებში ბუნდოვნად ჩანს, თუ რამდენად გამართულად და ხარისხიანად მუშაობს შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე. კათედრის მიერ წარმოდგენილ მონიტორინგის, შეფასებისა და შემაჯამებლების ანალიზის ამსახველ მასალებში მეტნაკლებად დგინდება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ფუნქციონირება. სკოლას მიეცეს **რჩევა** შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი იყოს უფრო გამართული ასევე სამივე საფეხურზე წარმოდგენილ მონოტორინგის, შეფასებისა და შამაჯამებლების ანალიზის ამსახველ მასალებში უფრო კონკრეტუად დადგინდეს ვერიფიკაციის მექანიზმის ფუნქციონირება, რომელიც არ იქნება ზოგადი.
   **ინდიკატორი შეესაბამება;**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**
   შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები სათანადოდ აღრიცხულია და შენახულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში საგნობრივი ჯგუფების პორტფოლიოებში ინახება მოსწავლეთა შემოქმედებითი დავალებები. კლასისა თუ საფეხურის დაძლევა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით, რომელიც საქმისწარმოების წესის შესაბამისად ატვირთულია E-flow სისტემაში. ამასთანავე, სკოლის მიერ დადგენილ შეფასების სისტემაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების შენახვა, კერძოდ: კურიკულუმი, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა

მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები სათანადო ანალიზით, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, შეფასების მასალები - მოცემული მატერიალური სახის დოკუმენტაცია სკოლაში ინახება ერთი წლის ვადით, ხოლო ელექტრონული სახის- სამი წლის ვადით.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სსსმ მოსწავლისათვის ადაპტირებული დავალებები;
- შემოქმედებითი ბუნების დავალებები:
- კათედრის ოქმები;
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზები;
- მასწავლებლებთან გასაუბრება.
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- საბაზო და საშუალო საფეხურის ქიმიის, ფიზიკისა და ბუნებისმეტყველების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ელექტრონული რესურსების ლინკები;
- კომპლექსური დავალების ბარათები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები.
- V, VI კლასების კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილები ბუნებისმეტყველებაში;
- შემოქმედებითი დავალების ნიმუშები,
- შეფასების ინსტრუმენტები,
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;*
- *სსიპ ქალაქ ბოლნისი N3 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*

- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის მშობელთა კრების ოქმი;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;*

## 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე** საბუნებისმეტყველო მეცნიერების (ბუნებისმეტყველება V, VI კლ., ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მიმართულებით სკოლა ყველა კლასში სასწავლო რესურსად გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა იყენებს საინტერესო, ელექტრონულ რესურსებსაც, მათ შორის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიასა და ვირტუალურ ლაბორატორიებს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | თითოეული საგნის ფარგლებში ძირითად რესურსებად წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები, თუმცა კურიკულუმებში ვხვდებით დამატებით ლიტერატურას/რესურსებს როგორც მატერიალური, ასევე, ელექტრონული რესურსების სახით.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | სასწავლო რესურსი განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით კლასებისა და საგნების მიხედვით უშუალოდ საგნის მასწავლებლების მიერ, რომლებიც აქვთ არამარტო საგნობრივი ცოდნა არამედ იცნობენ კონკრეტულ კლასებს, იციან მათი ინტერესის სფეროები და ასაკობრივი თავისებურებები, რომლის გათვალისწინებითაც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების არჩევისას სასწავლო წლის დასაწყისში და უშუალოდ კოლაბორაციაში მოყავთ სტანდარტით გათვალისწინებულ სასწავლო თემებთან, სამიზნე ცნებებთან/ქვეცნებებთან და შესაქმნელ შემოქმედებით პროდუქტთან. შესაბამისად, კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსის აქტიური გამოიყენება ხდება მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.<br><br>**რჩევა:** უმჯობესია, დამხმარე სასწავლო რესურსი იყოს მეტად მრავალფეროვანი და ყველა კლასის კურიკულუმში სრულყოფილად გაწერილი.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო და დამხმარე რესურსები, რომლებიც გამოყენებულია სასწავლო პროცესში სასწავლო შედეგის მისაღწევად. შემოქმედებითი დავალების პროდუქტის შესაქმნელად მასწავლებლის მიერ გამოყენებულია დამატებითი ტექსტები, ვიდეომასალა, პლაკატები, სქემები, ვიზუალური მასალა. დაწყებით საფეხურზე რესურსებად წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ინტერაქციული რესურსები. საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კი დამხმარე რესურსებად მოცემულია მხატვრული ტექსტები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები მწერლებისა და პოეტების |

| | |
|---|---|
| | შესახებ, ინტერაქციული მულტიმედიური სავარჯიშოები, ტელესკოლის გაკვეთილები. ასევე, სხვადასხვა სახის გრაფიკული მაორგანიზებლები. ასე რომ, სახელმწიფო ენის კურიკულუმებში ძირითად ტექსტებთან ერთად სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები.<br><br>**კათედრას მიეცა რჩევა:** სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე რესურსები უფრო გაამრავალფეროვნონ. მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა თავადაც შექმნან უფრო მეტი სასწავლო რესურსი.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| მათემატიკა | ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების ნუსხა წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სასწავლო რესურსები შეესაბამება საგნის თემატიკას და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს მასალის გააზრებაში.<br><br>**სკოლას ეძლევა რჩევა,** ყველა საფეხურზე კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ სასწავლო პროცესში, ასევე სახელმძღვანელოს მიეთითოს გვერდები.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, და კურიკულუმში შეტანილი რესურსებიც ადასტურებს, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ სპორტულ ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ინტერნეტ რესურსებს. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სააწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი, კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები; კომპიუტერული სასწავლო-საგანმანათლებლო თამაშები; ინტერნეტრესურსები სასწავლო მიზნით შექმნილი მულტიმედიური პროდუქტები, განხორციელებული კომპლექსური ტიპის დავალება, მოსწავლეთა ნამუშევრები -პრეზენტაცია Power Point-ის გამოყენებით, რაც ზრდის მოსწავლის მოტივაციას, ხელს უწყობს საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას, და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | კურიკულუმებში, ასევე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებითი კლასების კათედრა იყენებს მრავალფეროვან რესურსებს, როგორც ელექტრონულს ასევე მატერიალურს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის გაზრდას, საკითხის სიღრმისეულ გააზრებას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე სასწავლო რესურსი, რაც იყო მოცემული საბუნებისმეტყველო მიმართულების კურიკულუმების ჩარჩო - ცხრილებში სამივე საფეხურზე, შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა აცხადებს, რომ უზრუნველყოფენ სკოლაში არსებული ყველა სასწავლო რესურსის ვალიდაციას. |

| | |
|---|---|
| | **ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| უცხოური ენები | კათედრებზე ურთიერთშეთანხმებულად ხდება დამხმარე სასწავლო რესურსების არჩევა/გამოყენება კონკრეტულ თემასთან მიმართებაში. აღნიშნული რესურსები მოიცავს ასაკის მიხედვით შერჩეულ დამხმარე ლიტერატურას, მასწავლებლების მიერ წინასწარ შერჩეულ ელექტრონულ რესუსრსებს და მასწავლებლის წიგნში მითითებული დამატებითი რესურსებს.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | დამხმარე სასწავლო რესურსი (არსებობის შემთხვევაში) არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციისათვის სკოლა იყენებს ზეპირ შეთანხმებას კათედრის წევრებს შორის. სახელმწიფო ენის კათედრაზე თანხმდებიან, რომ რესურსი საგნობრივად და ეთიკურად მიზანშეწონილია. კათედრა თვითონ იღებს პასუხისმგებლობას, რომ შერჩეული რესურსი შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მისი მიზნების მიღწევას უწყობს ხელს, არის ასაკისათვის შესაფერისი, არ შეიცავს დისკრიმინაციულ ან მიკერძოებულ შინაარს და ითვალისწინებს მოსწავლის განვითარების დონესა და ინტერესებს.<br><br>**რჩევა:** სასურველია, სკოლამ შეიმუშავოს დამხმარე რესურსის ვალიდაციის შემოწმების ფორმა, რომელსაც მასწავლებლები გამოიყენებენ კათედრების სამუშაო შეხვედრებზე დამხმარე რესურსის ვალიდაციის შესამოწმებლად.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის სასწავლო რესურსების ნუსხა, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხორციელდება კათედრაზე, რასურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და თემებს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სპორტი | გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხმრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ტექნოლოგიები | ტექნოლოგიებში გამოყენებული სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები, კომპიუტერული სასწავლო-საგანმანათლებლო თამაშები შეთანხმებულია კათედრასთან, გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | რესურსები სრულდ შეესაბამება ერუვნული სასწვლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და შესასწავლ თემებს.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

**3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლა რეაბილიტირებულია, ფიზიკური გარემო უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის |

| | |
|---|---|
| | მატერიალურ რესურსს მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა არის გარემოებები, რომლის მიხედვითაც სკოლს მიეცეს **რჩევა:** შეძლებისდაგვარად შეივსოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია საჭირო დანადგარებით, ქიმიური ჭურჭლითა და რეაქტივებით, მერხებზე გადაკრული იყოს ქიმიური რეაქტივების მიმართ მედეგი, ცეცხლგამძლე საფარი, ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყოს ამწოვი კარადა და წყლის ონკანი.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლას მოსწავლეებს უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია** |
| უცხოური ენები | მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. მოსწავლეებს თანაბრად შეუძლიათ გამოიყენონ საჭირო რესურსები.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ესთეტიკური აღზრდა | სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| სახელმწიფო ენა | სკოლა მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსს: უსაფრთხო და აღჭურვილ საკლასო ოთახებს, დიფერენცირებულ საჭიროებებზე მორგებულ გარემოს, შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილ საკლასო ოთახებს, ძირითად და დამხმარე რესურსს. სწავლის პროცესში შედეგის მიღწევა დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა სკოლას შესაბამისი გარემო და ტექნიკური შესაძლებლობა. სახელმწიფო ენის კათედრა მოსწავლეთა რაოდენობის |

| | |
|---|---|
| | გათვალისწინებით უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მაგალითად, სახელმწიფო ენის კურიკულუმით გათვალისწინებულ აქტივობებში თითქმის ყველა თემაში გვხვდება ვიდეორგოლის, ანიმაციის ან მოკლემეტრაჟიანი ფილმის ნახვა განსახილველად. შესაბამისად, სკოლა კომპიუტერითა და პროექტორით უზრუნველყოფს კურიკულუმით მისაღწევი შედეგების მატერიალურ უზრუნველყოფას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაში.** |
| მათემატიკა | სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები, კურიკულუმებში ჩანს, რომ აქტიურად იყენებენ ელ.რესურსებს, სკოლას გააჩნია კარგი კომპიუტერული ბაზა, რაც აკმაყოფილებს მოსწავლეთა რაოდენობას და სრულად ხელმისაწვდომია მათთვის. გარადა ელ.რესურსებისა იყენებენ მატერიალურ რესურსებს, რომლებიც არაა შეტანილი კურიკულუმში. ყველა ამ მატერიალური რესურსის გამოყენება ხელს უწყობს სწავლა-სწავლების ეფექტურონას, მოტივაციის ამაღლებას და სწავლის შედეგების მიღწევას.<br>**ინდიკატორი შესაბამისობაში.** |
| სპორტი | კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაში.** |
| ტექნოლოგიები | ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით, ლეპტოპებით და პროექტორებით, რაც იძლევა საშუალებას სკოლამ განახორციელოს კურიკულუმით განსაზღვრული ვალდებულებები. ინტერვიუდან ჩანს, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში საკმაოდ |

| | |
|---|---|
| | ხშირად იყენებს ციფრულ რესურსებს. სკოლაში მოსწავლეებისა და პერსონალის მხრივ გამოიყენება პროექტორები - პრეზენტაციის, ფილმებისა და სლაიდშოუს ჩვენებისას.<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე დამატებით დამხმარე ლიტერატურას და ციფრულ და მატერიალურ რესურსებს, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას<br><br>**ინდიკატორი შესაბამისობაშია.** |

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სკოლას ყველა საფეხურზე ჰყავს  კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სსსმ მოსწავლისათვის ადაპტირებული დავალებები;
- შემოქმედებითი ბუნების დავალებები:
- კათედრის ოქმები;
- მასწავლებლებთან გასაუბრება.
- საბაზო და საშუალო საფეხურის ქიმიის, ფიზიკისა და ბუნებისმეტყველების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილები;
- ელექტრონული რესურსების ლინკები;

- კომპლექსური დავალების ბარათები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები.
- V, VI კლასების კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილები ბუნებისმეტყველებაში;
- შემოქმედებითი დავალების ნიმუშები,
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;*
- *გაკვეთილზე დაკვირვების, ურთიერთდასწრებისა და თვითშეფასების ფორმები;*
- *კითხვარები სასკოლო საზოგადოებისათვის;*
- *არაფორმალური კუთხით განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების  დამადასტურებელი მასალა;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მასწავლებლები კომპლექსური დავალების შესრულებისას აკეთებენ რეფლექსიას, რომელ შემოქმედებითი ტიპის დავალებას ამოიღებდნენ, რომელს შეცვლიდნენ. ისინი თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. შედეგების ანალიზის საფუძველზე იგეგმება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი. მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, კათედრაზე ანალიზდება შემაჯამებელი დავალებები, შესაბამისად, ხდება მოსწავლეების სუსტი და ძლიერი მხარეების დადგენა, რასაც ითვალისწინებენ შემდგომი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისას. ამჟამად ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლას აქვს განსაზღვრული მეთოდოლოგიური ჩარჩო კურიკულუმების შესაფასებლად, რომლის მიხედვითაც ხდება კურიკულუმის მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, დაიგეგმება ცვლილება. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

   სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, საგნის მასწავლებლები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სამივე საფეხურზე აკვირდებიან კურიკულუმის განვითარებას. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს: აგროვებენ მონაცემებს, აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე, პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პროცესს. მონაცემების გაანალიზებისას პასუხობენ შეკითხვებს - მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად, რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. მონაცემთა ანალიზი იძლევა პრობლემის გადაჭრის გზასა და საშუალებას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, მასწავლებლები სისტემატურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აძლევენ უკუკავშირს. ისინი ახორციელებენ მონიტორინგს და ერთმანეთს სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ რჩევებს. მონიტორინგი და შეფასება ეხმარება ყველა ჩართულ მხარეს: მოსწავლეს, მასწავლებელს, მშობელს და ადმინისტრაციას. მასწავლებლისთვის მონიტორინგი პროფესიული განვითარების ბუნებრივი ნაწილია. ის ეხმარება პედაგოგს გააანალიზოს საკუთარი პრაქტიკა, დაადგინოს, რა მუშაობს და რა საჭიროებს გაუმჯობესებას. საერთო შედეგების ანალიზი ხელს ეწყობს თანამშრომლობას კოლეგებს შორის, ხდება გამოცდილების გაზიარების საფუძველი და გამოავლენს განვითარების მიმართულებებს. ეს ყველაფერი კი პირდაპირ აისახება მასწავლებლის მოტივაციასა და გაკვეთილის ხარისხზე. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;*
- *სსიპ ქალაქ ბოლნისი N3 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის მშობელთა კრების ოქმი;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;*
- *გაკვეთილზე დაკვირვების, ურთიერთდასწრებისა და თვითშეფასების ფორმები;*
- *კითხვარები სასკოლო საზოგადოებისათვის;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *არაფორმალური კუთხით განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების დამადასტურებელი მასალა;*
- *შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ამსახველი მასალა;*
- *განხორციელებული კომპლექსური დავალებების ბარათები და მოსწავლეთა ნაშრომები;*

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სამივე საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ შემოქმედებითი ტიპის დავალებების, პროექტების, საკლასო და საშინაო დავალებების, შემაჯამებლების ანალიზს მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისას შესაბამისი რუბრიკების გამოყენებით. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლა წარმოდგენილი კურიკულუმებისა და მეთოდოლოგიის მიხედვით, შეფასებას ახორციელებს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, კომპლექსური დავალებების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრებით, პროექტული სწავლების დროს შექმნილი პროდუქტებითა ან პრეზენტაციებით; მასწავლებელი სწავლების პროცესში აფასებს არა მხოლოდ კონკრეტულ ამოცანებზე მუშაობას, არამედ იმასაც, როგორ ავითარებს მოსწავლე მიღებულ ცოდნას სხვადასხვა აქტივობაში, როგორ მუშაობს ინდივიდუალურად ან ჯგუფში. შეფასება ითვალისწინებს მოსწავლის ემოციურ მდგომარეობასაც, მის შესაძლებლობებს, წვდომას რესურსებზე და სხვა გარემო ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მის შესრულებაზე. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების მიხედვით, **სკოლას მიეცა რჩევა** აქტიურად შეიმუშავოს მოსწავლეთა თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში არსებობს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი გამოცდილება. მონაცემების შესაგროვებლად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა: შემაჯამებელი ტესტირების ანალიზი, ჩანაწერების წარმოება, წერითი სამუშაოები, ზეპირი პასუხები, დაკვირვება, პროექტული საქმიანობა და პრაქტიკული დავალებები. თითოეული მეთოდი ასახავს მოსწავლის განსხვავებულ

უნარსა და შესაძლებლობას, ამიტომ მრავალფეროვანი მიდგომა ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის უნიკალურობის უკეთ დანახვას. მასწავლებლები აგროვებენ მონაცემებს როგორც ფორმალური შეფასების დროს, ისე ყოველდღიურ სწავლებაში. თვითშეფასება და თანატოლი შეფასებაც მონაცემთა შეგროვების წყაროა, რადგან ის ასახავს მოსწავლის დამოკიდებულებას საკუთარი თავის მიმართ. ეს მრავალმხრივი ინფორმაცია ეხმარება მასწავლებელს სწორი პედაგოგიური გადაწყვეტილებების მიღებაში, სწავლების დიფერენცირებასა და რეალური საჭიროებების დაფიქსირებაში. ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

**4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, მასწავლებლები მოსწავლის შეფასებისას აფასებენ არა მხოლოდ მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებას, არამედ ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებებსაც, რომლებშიც ის შესრულდა. შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის შესაძლებლობებს, ინდივიდუალურ პროგრესს, მოტივაციას, ძალისხმევას, ჩართულობასა და სწავლებისადმი დამოკიდებულებას. ფასდება არა მხოლოდ საბოლოო შედეგი, არამედ პროცესში გაწეულ შრომაც. მნიშვნელოვანია, მოსწავლის ემოციური მდგომარეობა, სოციალური ფონი, სპეციალური საჭიროებები და რესურსებზე წვდომა. სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება საშუალებას აძლევს მასწავლებელს, შეაფასოს მოსწავლე სამართლიანად და ინდივიდუალური მახასიათებლების მიხედვით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოტივაციის ზრდას, სწავლის პროცესში ჩართულობას და სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;*
- *სსიპ ქალაქ ბოლნისი N3 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის მშობელთა კრების ოქმი;*

- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;*
- *გაკვეთილზე დაკვირვების, ურთიერთდასწრებისა და თვითშეფასების ფორმები;*
- *კითხვარები სასკოლო საზოგადოებისათვის;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;*
- *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;*
- *არაფორმალური კუთხით განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების  დამადასტურებელი მასალა;*
- *შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ამსახველი მასალა;*
- *განხორციელებული კომპლექსური დავალებების ბარათები და მოსწავლეთა ნაშრომები;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

   საგნობრი ექსპერტებთან გასაუბრების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ ისინი მუშაობენ კურიკულუმის განზვითარებასა და დახვეწაზე, მაგრამ მოცემულ ეტაპზე სკოლას არ გააჩნია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი.

**რჩევა:** სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, რათა განისაზღვროს რა მიმართულებით უნდა მოხდეს კურიკულუმის დახვეწა. იგი უნდა მოიცავდეს სწავლების პრაქტიკის, შეფასების შედეგების, მასწავლებელთა პროფესიული შეფასებების, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და ინტერესების გაანალიზებას. რეკომენდაციები შეიძლება ეხებოდეს შინაარსობრივ ცვლილებებს, სტანდარტების გააზრებას, მიზნებისა და შედეგების დაზუსტებას. რის შედეგადაც მიიღება გონივრული, მრავალმხრივ გააზრებული წინადადებები კურიკულუმის გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

   კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინა ვერსიის დანერგვისა და გამოყენების პროცესში დაგროვილ პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც მოიცავს როგორც მასწავლებელთა, ისე მოსწავლეთა რეალურ უკუკავშირს. მისი განვითარება ეფუძნება სკოლებში კურიკულუმის პრაქტიკული განხორციელების დროს გამოვლენილ გამოწვევებს, წარმატებებსა და საჭიროებებს. გადამუშავების პროცესში მოიაზრება მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზი, რაც საშუალებას აძლევს საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებს, გამოავლინონ კონკრეტული მიმართულებები, რომელთა გაუმჯობესებაც საჭიროა. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

   **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- სსიპ ქალაქ ბოლნისი N3 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის მშობელთა კრების ოქმი;
- სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- გაკვეთილზე დაკვირვების, ურთიერთდასწრებისა და თვითშეფასების ფორმები;
- კითხვარები სასკოლო საზოგადოებისათვის;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- არაფორმალური კუთხით განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების  დამადასტურებელი მასალა;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ამსახველი მასალა;
- განხორციელებული კომპლექსური დავალებების ბარათები და მოსწავლეთა ნაშრომები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- სსსმ მოსწავლისათვის ადაპტირებული დავალებები;
- შემოქმედებითი ბუნების დავალებები:
- კათედრის ოქმები;
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზები;
- მასწავლებლებთან გასაუბრება.
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- საბაზო და საშუალო საფეხურის ქიმიის, ფიზიკისა და ბუნებისმეტყველების ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ელექტრონული რესურსების ლინკები;
- კომპლექსური დავალების ბარათები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები.
- V, VI კლასების კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილები ბუნებისმეტყველებაში;
- შემოქმედებითი დავალების ნიმუშები,
- შეფასების ინსტრუმენტები,
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;*
- *სსიპ ქალაქ ბოლნისი N3 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის მშობელთა კრების ოქმი;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;*
- *სსიპ. ქალაქ ბოლნისის N3 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;*

- *გაკვეთილზე დაკვირვების, ურთიერთდასწრებისა და თვითშეფასების ფორმები;*
- *კითხვარები სასკოლო საზოგადოებისათვის*
- *არაფორმალური კუთხით განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების  დამადასტურებელი*
- სკოლის შინაგანაწესი

- მოსწავლის სტატუსის შეჩერების ბრძანება.
- მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა.

თარიღი 24.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

